საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF
AGRICULTURAL SCIENCES

საინვესტიციო პროექტი

მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის, პარკის წარმოების და კუსტარული რეწვის ეტაპობრივი აღდგენა ხონის რაიონში

თბილისი
2014

პროექტის ავტორი:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.

პროექტზე პასუხისმგებელი პირები:

1) სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან: აკადემიის წ/კორესპონდენტი გ.ნიკოლეიშვილი (ხელმძღვანელი);
   აკად. გ. ჯაფარიძე, თ.კუნჭულია,
   წ/კორესპოდენტი ე. შაფაქიძე,
   ს/მ აკადემიური დოქტორები თ. დალალიშვილი,
   ნ. ბარამიძე, ე. ჭოლაძე;
2) ხონის რაიონის გამგეობა;
3) ხონის მეაბრეშუმეობის მეურნეობა.

მისამართი და საკონტაქტო ტელეფონები:

1. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის- თბილისი, 0102, ი.ჯავახიშვილის ქ. №51, ტელ. 2 96 03 00; 2 91 01 14; 2 94 13 21; ვებ გვერდი: www.gaas.dsl.ge; ელ. ფოსტა: **acad.as@gaas.dsl.ge;**
2. ხონის გამგეობის – ქ. ხონი, თავისუფლების მოედანი, ელ ფოსტა: **khonisgamgeoba@yahoo.com;**
3. ხონის მეაბრეშუმეობის მეურნეობის – ქ.ხონი.

საინვესტიციო პროექტი

მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის, პარკის წარმოების და კუსტარული რეწვის ეტაპობრივი აღდგენა ხონის რაიონში

პროექტის იდეა:

- მეაბრეშუმეობის განვითარების მდიდარი ტრადიციების აღდგენა, სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება, სოფლების ეკონომიკური მომძლავრება და ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება.
- დასახლებული პუნქტების მიხედვით შემორჩენილი საკვები ბაზის, საწარმოო საშუალებების, ინტელექტუალური რესურსების მოძიებითა და გამოყენებით. 2015 წლიდან აბრეშუმის ჭიის გამოკვების დაწყება, პარკის დამზადება-ამოხვევა, ხამი ძაფის რეალიზაცია და კუსტარული წარმოების განვითარება.

პროექტის I ეტაპი: დაწყების თარიღი 2015 წ.
დამთავრების თარიღი 2020 წ.
ძირითადი საბოლოო პროდუქტი: ხამი ძაფი.

პროექტის II ეტაპი: დაწყების თარიღი 2021 წ.
დამთავრების თარიღი 2025 წ.
ძირითადი საბოლოო პროდუქტი: ხამი ძაფი, აბრეშუმის ქსოვილი და სხვა ნაწარმი.

პროექტის მფლობელი:
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

პროექტზე პასუხისმგებელი პირები:

1. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია: აკადემიის წ/კორესპოდენტი გ. ნიკოლეიშვილი (ხელმძღვანელი), აკად. გ. ჯაფარიძე, აკად. თ.კუნჭულია, აკადემიის წ/კორესპოდენტი ე. შაფაქიძე, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორები თ. დალალიშვილი, ნ. ბარამიძე, ე. ჭოლაძე.
2. ხონის რაიონის გამგეობა
3. ხონის მეაბრეშუმეობის მეურნეობა

მისამართი და საკონტაქტო ტელეფონები:

1. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის- თბილისი, 0102, ი.ჯავახიშვილის ქ. №51, ტელ. 2 96 03 00; 2 91 01 14; 2 94 13 21; ვებ გვერდი: www.gaas.dsl.ge; ელ. ფოსტა: acad.as@gaas.dsl.ge;
2. ხონის გამგეობის – ქ. ხონი, თავისუფლების მოედანი, ელ ფოსტა: khonisgamgeoba@yahoo.com;
3. ხონის მეაბრეშუმეობის მეურნეობის – ქ.ხონი.

რეზიუმე

ხონი ყოველთვის გამოირჩეოდა მეაბრეშუმეობის მაღალი კულტურით, კარგად განვითარებული კუსტარული წარმოებით და სიახლეთა დანერგვით. მეაბრეშუმეობის პირველი ამხანაგობა ქუთაისის გუბერნიაში (1895წ. სოფ.კუხი) ხონში ფუნქციონირებდა და სანიმუშოდ ჰქონდათ გადაწყვეტილი როგორც დარგების ინტეგრაციის, ისე დარგში დასაქმებულ ადამიანთა საბოლოო შედეგებით დაინტერესების პრობლემა.

ყოფილ საბჭოთა კავშირში გაცოცხლებული მური პირველად (1927წ.) მიიღეს ხონელმა მეაბრეშუმეებმა. აქვე ჩამოყალიბდა მეაბრეშუმეობის მეურნეობა, ძაფსაღებ-საგრეხი ქარხანა და სასელექციო სადგური.

ხონის რაიონი 1984 წელს გამოვიდა დაავადება ფოთლის სიხუჭუჭით განადგურებული საკვები ბაზის აღდგენის ინიციატივით, რასაც მთელმა საქართველომ დაუჭირა მხარი.

სადღეისოდ, ხონის მეთუთეობის მეურნეობა (ფლობს --- ჰა მიწის ნაკვეთს, მ.შ. 10 ჰა თუთის პლანტაციას) და ყოფილი სასელექციო სადგურის შენობა-ნაგებობები კარგ სასტარტო პირობებს ქმნის დარგის აღორძინებისათვის. ჯერ კიდევ მოიძებნება ყოფილი მეაბრეშუმეობის სასელექციო სადგურის და პლასტმასის ქარხნის კვალიფიციური მუშები (სპეციალისტები), რომელთა დასაქმება შეიძლება პროფილის მიხედვით ცახების, ლასტებისა და სხვა ინვენტარის დასამზადებელად.

<u>საინვესტიციო პროექტის მიზანს</u> წარმოადგენს მეაბრეშუმეობის ტრადიციული ფუნქციის ეტაპობრივი აღდგენა, ძველი დიდების დაბრუნება, სოფლად ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და HRM-ის თვალსაზრისით ყველაზე საყურადღებო ჯგუფის-ქალების, პენსიონერების, მოზარდების და უნარშეზღუდული პირების დასაქმება, აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაციონალური გამოყენება, მოსახლეობის ეკონომიკურად მოძლიერება და ხალხური რეწვის მივიწყებული ტრადიციების აღდგენა.

<u>პროექტის მთავარი ამოცანაა</u> ხონის რაიონში განადგურებული საკვები ბაზის აღდგენა, პარკის წარმოების ოპტიმალურ რაოდენობამდე გაზრდა, ადგილზე გადამუშავება საბოლოო პროდუქტის რეალიზაციის ჩათვლით.

მეთუთეობის მეურნეობის ბაზაზე აუცილებელია მეაბრეშუმეობის სასელექციო სადგურის აღდგენა და თუთის აბრეშუმხვევიას ადგილობრივი ჯიშების საექსპორტო ჰიბრიდული გრენის წარმოება.

მეაბრეშუმეობაში საერთაშორისო ვაჭრობის საგანს წარმოადგენს გრენა, ჰაერმშრალი პარკი, ხამი ძაფი, პერსე პარკი, ქსოვილები და ა.შ.

პროექტით გათვალისწინებულია საექსპორტო გრენის, ხამი ძაფის და მზა პროდუქციის წარმოება. ამასთან პირველ ეტაპზე გრენა, ხამი ძაფი და კუსტარული ნაწარმი ძირითადად შიდასამომხმარებლო ბაზრისთვისაა განკუთვნილი, ხოლო მეორე ეტაპზე- საერთაშორისო ბაზრის შესაბამის სეგმენტს დაიკავებს. ამის საშუალებას გვაძლევს თუთის აბრეშუმხვევიას მაღალპროდუქტიული ჯიშების გრენა და აბრეშუმის ქსოვილების მაღალი ხარისხი და ზოგიერთი ნიშნის მიხედვით საერთაშორისო სტანდარტებთან უპირატესობაც. ქართული ჯიშების (მზიური 1 ×

მზიური2) პარკიდან მიღებული ძაფით დამზადებულმა ქსოვილმა ესპანეთში ევროპის ხარისხის კომიტეტის უმაღლესი ჯილდო-პლატინის ვარსკვლავი დაიმსახურა 1998 წელს.

წარმოებული პროდუქციის რეალიზაციით მოსახლეობა მიიღებს სოლიდურ შემოსავალს, მომხმარებელი კონკურენტუნარიან პროდუქციას, ხოლო ტურისტები უნიკალურ კუსტარულ ნაწარმს, რაც სოფლის მოსახლეობის დასაქმების და მყარი შემოსავლის გარანტი იქნება.

წინამდებარე პროექტი მოიცავს მეაბრეშუმეობის დარგის განვითარების შეკრულ ციკლს, დაწყებული საკვები ბაზის განმტკიცებიდან საბოლოო პროდუქციის ჩათვლით. ამასთან, საკვები ბაზის განმტკიცების, გრენისა და პარკის წარმოება-პირველადი გადამუშავების, ხამი ძაფის წარმოებასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-ეკონომიკური საკითხები ვრცლადაა გაანალიზებული, ხოლო ქსოვილების და კუსტარული წარმოების- შეკუმშული სახით (საბოლოო შედეგების მიხედვით) არის წარმოდგენილი.

მეაბრეშუმეობაში რისკის ფაქტორების გავლენა მაღალია, მაგრამ გონივრული მართვის შემთხვევაში ზარალის მინიმალიზაცია სავსებით შესაძლებელია. ამისათვის აუცილებელია რეგიონში მხოლოდ რეკომენდებული თუთისა (3-5 ჯიში) და თუთის აბრეშუმხვევიას (1-2ჰიბრიდი) ჯიშების გავრცელება და მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლა აგროწესების შესაბამისად.

განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო იმპორტირებული გრენის (წინასწარი გამოცდის გარეშე) გავრცელების შემთხვევაში. ამიტომ აუცილებელია რეკომენდებული ქართული ჯიშების გრენის წარმოების დაჩქარება.

რეკომენდებულ ღონისძიებათა შესრულების შემთხვევაში პროექტის განხორციელება რისკის დასაშვებ ფარგლებს არ გაცდება.

მეთუთეობის მეურნეობაში შენარჩუნებულია 10 ჰა თუთის პლანტაცია და ფერმერთა საკარმიდამო ნაკვეთებზე 4,7 ათასი ძირი ერთეული ნარგაობა. საიდანაც შეიძლება დამზადდეს 54,0 ტონა ფოთოლი, გამოიკვებოს 54 კოლოფი ჭია, დამზადდეს *3,7 ტონა ცოცხალი პარკი*, 1,3 ტ ჰაერმშრალი პარკი და 376 კგ ხამი ძაფი.

მომდევნო პერიოდში ყველა მაჩვენებელი მატებადი ტემპით გაიზრდება და 2020 წელს ფოთლის წარმოება შეადგენს 121,7 ტ-ს, (ამდენივე კოლოფი ჭიისათვის), 7,8 ტ. ცოცხალ პარკს, 2,0 ტ. ჰაერმშრალ პარკს და 813 კგ ხამ ძაფს და ა.შ.

მითითებულ პერიოდში 10კგ გრენის წარმოებიდან მიღებული მოგება შეადგენს 899 ლარს; 1 კგ გრენის თვითღირებულება –735,0 ლარს, ხოლო რენტაბელობის დონე – 110 %.

პროექტის შესრულების ეტაპები და ვადები

ხონის რაიონში მეაბრეშუმეობის რეაბილიტაციის საინვესტიციო პროგრამა პირობითად ორ ეტაპად არის დაყოფილი.

პირველი ეტაპი მოიცავს პერიოდს 2015 წლიდან 2020 წლის ჩათვლით, ხოლო მეორე ეტაპი- 2021-2025 წლებს.

პირველ ეტაპზე შემორჩენილი საკვები ბაზის განმტკიცებისა და რაციონალური გამოყენების მიზნით ჩატარდება თუთის ჯიშიანი ნარგაობის (905 ძირი) გაახალგაზრდავება და უჯიშო თუთის (3542 ძირი) ნარგაობის ვარჯში ზონისათვის რეკომენდებული ჯიშების ოშიმა, ივერია, თბილისური და ა.შ. კვირტით გადამყნობა, მეთუთეობის მეურნეობის პლანტაციაში (10ჰა) მეჩხერიანობის (60%) ლიკვიდაცია და მოვლითი სამუშაოების ჩატარება.

პირველ ეტაპზე უპირატესად გაშენდება ერთეული (ხაზობრივი) ნარგაობა ნამყენი და ჰიბრიდული ნერგებით,შემდგომში მისი ჯიშიანი კვირტით გადამყნობის პირობით.

ფერმერულ მეურნეობებში შესაძლებლობის ფარგლებში გაშენდება მცირე ზომის ინტენსიური პლანტაციები რიგთშორისებში რეკომენდებული კულტურების მოყვანის გათვალისწინებით.

ამავე ეტაპზე დაიწყება მუშაობა მეაბრეშუმეობაში ამხანაგობების, კოოპერატივების,ცენტრალიზებული გამოკვებისათვის პირობების მომზადებისა და მმართველობის (რაიონული, რეგიონული) დემოკრატიული ფორმების ჩამოყალიბების მიზნით.

შესრულდება სამუშაოები პარკის პირველადი დამუშავების პუნქტის წესრიგში მოსაყვანად და ინფრასტრუქტურის სრულყოფისათვის.

პროექტის განხორციელების მეორე ეტაპზე, პირველ მოსავალს მოგვცემს 2017 წელს გაშენებული ერთეული ნარგაობა, პლანტაციები და მეჩხერიანობის სალიკვიდაციოდ დარგული მცენარეები, რითაც მიიღწევა ფოთლის მოსავლის მნიშვნელოვანი მატება. ამიტომ მეორე ეტაპი იქნება ფოთლისა და პარკის წარმოების მნიშვნელოვანი პერიოდი.

მითითებულ ეტაპზე დაიწყება უახლესი კონსტრუქციის პარკის საშრობი დანადგარების შეძენა, ძაფსახვევი დაზგების რაოდენობრივი გაზრდა და სხვადასხვა ტიპის საქსოვი დანადგარების შეძენა–დამონტაჟება.

დამთავრდება ხონის მეაბრეშუმეობის სასელექციო სადგურის მოდერნიზაცია და ძირითადი მიმართულების პარალელურად უზრუნველყოფილი იქნება რაიონის მოთხოვნა ჰიბრიდულ გრენაზე.

პროექტის მიხედვით 2025 წლის ბოლოს თუთის ერთეული ნარგაობის საერთო რაოდენობა მიაღწევს 448,8 ათას ძირს, პლანტაციების ფართობი –80,0 ჰა-ს, გრენის რეალიზაცია –835 კოლოფს და პარკის საერთო წარმოება–54,3 ტონას, ხოლო ხამი ძაფის– 5964 კგ-ს.

თავი I. არსებული მდგომარეობა, პროექტის მიზნები და ამოცანები

1.1. არსებული მდგომარეობა

მეაბრეშუმეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია. იგი, არის ერის კულტურული მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუში, მოსახლეობის მასიური დასაქმების საშუალება და ფულადი შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა.

გასული საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში იწარმოებოდა 4,0–4,4 ათასი ტონა პარკი და ფულადი შემოსავალი15,5–16,5 მილიონ მანეთს შეადგენდა.

აბრეშუმის პარკის წარმოებაში დასაქმებული იყო 100–120 ათასი ოჯახი, ხოლო აბრეშუმის მრეწველობაში 5-6 ათასი კაცი. დარგში კონცენტრირებული იყო მძლავრი ინტელექტუალური რესურსი და სოლიდური კაპიტალური დაბანდება. სამწუხაროდ, სწორედ ამ ეტაპზე გავრცელდა თუთის მიკოპლაზმური დაავადება- ფოთლის სიხუჭუჭე, რომელმაც გაანადგურა 15 მილიონამდე ძირი მცენარე, თანდათანობით შემცირდა პარკის წარმოება, ხოლო ბოლო პერიოდში მთლიანად შეწყდა. ამას დაემატა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებული სიძნელეები, რამაც მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. თუმცა სწორი მიდგომის შემთხვევაში, სულ სხვა სურათი შეიძლება გვქონოდა, რადგან ქვეყანაში წარმოებული პარკის საერთო რაოდენობაში "საკარმიდამო" მეაბრეშუმეობის ხვედრითი წილი 95–98%-ის ფარგლებში მერყეობდა, ანუ წარმოება იყო დივერსიფიცირებული და მობილური, ახალი გარემოსადმი ადაპტირებული.

მიმდინარე საუკუნის განვლილ პერიოდში მსოფლიო მეაბრეშუმეობა აღმავლობით ხასიათდებოდა. ნატურალური ბოჭკოს ხელოვნურ ბოჭკოებთან შერევით მიღებული პროდუქციის საიმედოობა და სიიაფე დარგის განვითარების კიდევ უფრო ნათელ პერსპექტივას სახავდა.

მეაბრეშუმეობა წარმატებით ვითარდება ჩინეთში, ინდოეთში, უზბეკეთში დასხვა ქვეყნებში. ჩინეთი მსოფლიო მეაბრეშუმეობის მონოპოლისტია. იგი ყოველწლიურად აწარმოებს საშუალოდ 600 ათას ტონა პარკს და დამზადებული აბრეშუმის ქსოვილების 80%-ზე მეტს.

მსოფლიოში მეაბრეშუმეობის განვითარების ანალიზი იმაზე მიგვანიშნებს,რომ ევროპის განვითარებული ქვეყნების მძლავრი სააბრეშუმო მრეწველობა ვერ შეეგუება პარკის წარმოების ჩინურ მონოპოლიას და დაინტერესდება მისი ალტერნატიული გზების მოძიებით, (მსგავსად მე-18 საუკუნის 60-იანი წლებისა), რაც საქართველოსათვის უაღრესად მომგებიანი აღმოჩნდება, რასაც მომზადებული უნდა შევხვდეთ.

პირველ ეტაპზე–უნდა ვიზრუნოთ დარგის იმ დონით შენარჩუნებაზე, რაც სამომავლოდ სრული რეაბილიტაციის საშუალებას მოგვცემს; ანუ თავდაპირველად ყურადღება უნდა გამახვილდეს სოფლის მეურნეობის სეგმენტში (ძაფსახვევ-საგრეხი წარმოების ჩათვლით) არსებულ პრობლემებზე, სადაც საბოლოო პროდუქცია ხამი ძაფი იქნება, ხოლო ქსოვილის წარმოება, როგორც საბოლოო პროდუქტი მეორე ეტაპზე მოხდება.

წარსულში ქუთაისის მაზრა წარმოადგენდა კულტურული მეაბრეშუმეობის ცენტრს, ხონი გამორჩეული იყო არამარტო პარკის წარმოებით, არამედ კარგად განვითარებული კუსტარული მეწარმოებით, რომლის ბაზაზეც დაფუძნდა ხონის ძაფსახვევ–საგრეხი ქარხანა. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ მე-19

საუკუნის ბოლოს მეაბრეშუმეობის კურსის სწავლებას, საზოგადო სექტორის ამოქმედებას და რიგი სხვა ღონისძიებების განხორციელებას სწორედ ხონის რაიონში ჩაეყარა საფუძველი. ასევე, ყოფილ საბჭოთა სივრცეში გაცოცხლებული მური პირველად ხონის რაიონის სოფ. კუხის მეაბრეშუმეებმა მიიღეს (1927წ.). სიმბოლურია ისიც, რომ 1984 წელს, სწორედ ხონის რაიონი გამოვიდა მეაბრეშუმეობის განადგურებული საკვები ბაზის რეაბილიტაცია- აღორძინების ინიციატივით, რასაც მთელმა საქართველომ დაუჭირა მხარი.

1991 წელს ხონში აღრიცხული იყო 472 ჰა თუთის პლანტაცია და 432 ათასი ძირი ერთეული ნარგაობა (ცხრ.1), ხოლო 2010 წელს შესაბამისად 10 ჰა (2,1%) და 4,6 ათასი ძირი (1%) ერთეული ნარგაობა. ასეთი კატასტროფული ვითარება, სხვა ფაქტორებთან ერთად იმანაც განაპირობა, რომ სხვა რაიონებისგან განსხვავებით, სადაც უპირატესად თუთის ჰიბრიდული ფორმები და სხვა ჯიშები.

გვხვდებოდა თუთის მხოლოდ ერთი ჯიში-"საქართველო" იყო გავრცელებული. უფრო ცუდი მდგომარეობაა აბრეშუმის პარკის წარმოების (ცხრ. 2) მხვრივ. დაავადება ფოთლის სიხუჭუჭის გავრცელებამდე – 1960 წელს რაიონში გამოიკვება 8889 კოლოფი აბრეშუმის ჭია (განმეორებითი გამოკვების ჩათვლით) და დამზადდა 206,4 ტონა პარკი, 1993 წელს მხოლოდ 1,8 ც პარკის მოყვანით დაკმაყოფილდნენ. მომდევნო წლებში ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა, პირიქით ხონის ცნობილი ძაფსახვევ – საგრეხი ქარხანაც უკვალოდ გაქრა და ყველაფერი თავიდან დასაწყები გახდა. თუმცა, მოსახლეობის, დარგის სპეციალისტების და რაიონის ხელმძღვანელობის დარგისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება მეაბრეშუმეობით საზოგადოების დაინტერესებაზე მიუთითებს.

ცხრილი 1. ხონის რაიონში თუთის პლანტაციისა და ერთეული ნარგაობის მაჩვენებელი

(ოპერატიული მონაცემების მიხედვით)

წელი	პლანტაცია		ერთეული ნარგაობა	
	ჰა	1991 წელთან შედარებით, %	ათასი ძირი	1991წელთან შედარებით,%
1991	472.0	100	432.0	100
1997	208.0	44.0	258.6	60.0
2010	10.0	2.1	4.6	1.0

ცხრილი 2. ხონის რაიონში გრენის რეალიზაციის, პარკის წარმოების და მოსავლიანობის მაჩვენებლები

წელი	გრენის რეალიზაცია		პარკის წარმოება		პარკის მოსავლიანობა1 კოლოფი ჭიიდან	
	კოლოფი	1960 წელთან შედარებით, %	ც.	1960 წელთან შედარებით,%	კგ	1960წელთან შედარებით, %
1960	8889	100	2064	100	22.5	100
1990	753	8.4	296	14.7	36.6	162
1993	105	1.2	34	16.0	28.7	127.0
1993 1991	–	–	18	0.9	–	–

1.2. პროექტის მიზანი და ამოცანები.

პროექტის მიზანია ქართული მეაბრეშუმეობის ისტორიული და ტრადიციული ფუნქციის ეტაპობრივი აღდგენა, დარგის პოტენციალის მთლიანი ამოქმედება HRM-ის მოთხოვნათა შესაბამისად ყველაზე საყურადღებო ჯგუფის-ქალების, პენსიონერების, მოზარდების და უნარშეზღუდული პირების დასაქმებით ათასობით ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ხონის რაიონში განადგურებული მეაბრეშუმეობის დარგის რეაბილიტაცია- აღორძინება, აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება; სასოფლო -სამეურნეო სავარგულების და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება, მოსახლეობის ეკონომიკურად მომძლავრება და მიგრაციის შეზღუდვა, ხალხური რეწვის მივიწყებული ტრადიციების აღდგენა აბრეშუმის ხამი ძაფის გამოყენებით და ა.შ. ამ მიზნით განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ფერმერულ მეურნეობებში, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში და სახელმწიფო მიწებზე (სასელექციო სადგური, სატყეო მიწის ფონდები) თუთის არსებული ნარგაობის გაახალგაზრდავების, რეკომენდებული ჯიშებით ვარჯში გადამყნობისა და ოპტიმალური რაოდენობით ახალი ნარგაობის გაშენების პირობებში გაზაფხულის გამოკვებით პარკის წარმოების სასურველ დონემდე გაზრდას.ახალი ნარგაობა ძირითადად გაშენდება ერთეული და ხაზობრივი ნარგაობის სახით, ხოლო თუთის მცირე ზომის ინტენსიური პლანტაციები მოეწყობა ფერმერულ მეურნეობებში და სასელექციო სადგურში.

პროექტის ამოცანას შეადგენს:

- წარმოებული აბრეშუმის პარკის (I ეტაპი) პირველადი დამუშავებისა და ხამი ძაფის წარმოებისათვის საჭირო დაზგა-დანადგარების შეძენა, ძაფის რეგიონული ამოხვევის უზრუნველყოფა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის მზარდი ტემპით წარმოება, რეალიზაციის გარანტიის გათვალისწინებით.
- სასელექციო სადგურის ბაზაზე თუთის აბრეშუმხვევიას ადგილობრივი ჯიშების (დიღმური 1 და დიღმური 2) ჰიბრიდული გრენის (მ.შ. საექსპორტო) წარმოება.
- კუსტარული მეწარმეობის მივიწყებული ტრადიციების თანმიმდევრული აღდგენა, ადგილობრივ ნაწარმზე (ხალიჩები, გობელენი..) ტურისტთა მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება და სხვა ღონისძიებების განხორციელება.

დასახული ამოცანა ემყარება რაიონში (რეგიონში) მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებს, მოსახლეობის მდიდარ ტრადიციებს, ძველი თაობის გამოცდილი სპეციალისტების არსებობას და სხვა ფაქტორებს, რომელთა გააზრებული ამოქმედება დიდ ეფექტს მოუტანს რაიონის (რეგიონის) ეკონომიკას.

მითითებული მიზნების და ამოცანების რეალიზაციის შემთხვევაში მივიღებთ: ძლიერ სოფლებს, აღდგენილი ბუნებრივი მწვანე საფარით და განახლებული ლანდშაფტით, ამოქმედებულ საწარმოებს თანამედროვე ტექნოლოგიებით, ათასობით ახალ სამუშაო ადგილს, ძვირადღირებულ კონკურენტუნარიან ნატურალური აბრეშუმის პროდუქტებს და სხვა სიკეთეს.

არსებული საკვები ბაზისა და სხვა ფაქტორთა გათვალისწინებით პროექტის (საჭირო ცვლილებებით) განხორციელება შესაძლებელია დაიწყოს 2015 წლის გაზაფხულიდან.

პროექტის სრულყოფილი განხორციელების შეფერხების შემთხვევაში, შეიძლება დავიწყოთ თუთის არსებული ნარგაობის გაახალგაზრდავება, არსებული საწარმოო რესურსების (პარკსაშრობი პუნქტების, სიმპლექსის ტიპის პარკსახმობი დანადგარების მოძიება–რემონტი), მეთუთეობის მეურნეობის ბაზაზე სასელექციო სადგურის აღდგენა, საჭირო სპეციალისტების მოძიება, სარემონტო სამუშაოების ჩატარება და ა.შ., რომელიც წარიმართება ორ ეტაპად:

I ეტაპი–არსებული თუთის ნარგაობის, საწარმოო რესურსების მოძიება, აღრიცხვა და დღემდე შემორჩენილი ადგილობრივი სპეციალისტების რაოდენობისა და მუშაობისათვის მზადყოფნის დადგენა და მათთან ხელშეკრულების გაფორმება.

დაწყება: 2015 წლის იანვარი (01.01.2015)

დამთავრება: 2015 წლის მარტი (01.03.2015)

II ეტაპი–მოძიებული ტექნიკისა და საწარმოო ობიექტების რემონტი, მოდერნიზაცია, ახლად შეძენილი დაზგა-დანადგარების მონტაჟი და აბრეშუმის ჭიის საგაზაფხულო გამოკვების დაწყება, აბრეშუმის ხამი ძაფის ამოხვევა, დაბინავება-რეალიზაცია.

დაწყება: 2015 წლის აპრილი (01.04.2015)

დამთავრება: 2015 წლის დეკემბერი (01.12.2015)

მიმდინარე ეტაპზე უნდა ვიმსჯელოთ მეაბრეშუმეობის იმ მოცულობით განვითარებაზე, რის საშუალებასაც მოგვცემს არსებული საკვები ბაზა და შემორჩენილი საწარმოო რესურსები, რაც სამომავლოდ დარგის სრულ რეაბილიტაციას დაედება საფუძვლად. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ადრეულ წლებში სასელექციო სადგურში და სათაო პარკსაშრობების სისტემაში, ძაფსაღებ-საგრეხ ქარხნებში მომუშავე სპეციალისტების, მეაბრეშუმეების მოძიებას, დასაქმებას და მათი გამოცდილების პროპაგანდას.

დასახული ამოცანა ემყარება რაიონში (რეგიონში) მეაბრეშუმეობის ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებს, მოსახლეობის მდიდარ ტრადიციებს და სხვა ფაქტორებს, რომელთა ამოქმედება საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად დიდ ეფექტს მოუტანს რაიონის (რეგიონის) ეკონომიკას.

თავი II. პროდუქციის წარმოება

2.1. მეთუთეობა–სათესი განყოფილება, სარგავი მასალა, ფოთლის წარმოება და ეკონომიკური ეფექტიანობა.

პროექტით გათვალისწინებულ დონემდე პარკის წარმოების გადიდებისათვის აუცილებელია საკვები ბაზის გაფართოება, როგორც პლანტაციების, ისე ერთეული ნარგაობის სახით.

პირველ ეტაპზე, ცხოველებისაგან დაცულ ფართობებზე უნდა გაშენდეს საშუალო შტამბიანი პლანტაციები, რიგთშორისებში რეკომენდებული კულტურების თესვით, ხოლო შემოდგომაზე-გაუხეშებული ფოთოლის მეცხოველეობის საკვებად (ნეკერი) გამოყენების მიზნით.

ხონის რაიონში 2015-2025 წლებში ფერმერთა საკარმიდამო ნაკვეთებზე გაშენდება 80.0 ჰა-მდე თუთის საშუალო შტამბიანი პლანტაცია და 448, 8 ათასი ძირი ერთეული ნარგაობა, რაც შეადგენს 1991 წლის მაჩვენებლის 15,0 და 105,5 %-ს.

საკვები ბაზის განმტკიცების პრიორიტეტულ მიმართულებად მიჩნეულია ერთეული ნარგაობის გაშენება, რაც სრულიად შეესაბამება ხონის რაიონის ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებს და ტრადიციებს.

მესამე ცხრილის შესაბამისად პირველ ეტაპზე (2015-2020წწ) დაირგვება 217,0 ათასი ძირი თუთის მცენარე, მეორე ეტაპზე (2021-2025წწ) -364,5 ძირი, ხოლო ორივე ეტაპზე 581,5 ათასი ძირი.

თუთის საერთო რაოდენობაში ნამყენი იქნება დაახლოებით 50%, ხოლო ჰიბრიდული -50%, რომელიც ძირითადად ერთეული (ხაზობრივი) ნარგაობის სახით გაშენდება შემდგომში ჯიშიანი თუთის კვირტით გადამყნობის პირობით. ნამყენი (საკუთარფესვიანი) ნერგებით უპირატესად გაშენდება თუთის პლანტაციები.

პრობლემისადმი ასეთი მიდგომა მეთუთეობაში შექმნილი ვითარების (სათესლე-სადედე, საკალმე-სადედე, ნარგაობის არ არსებობისა და ა.შ.) გათვალისწინებით სავსებით გამართლებულია.

ჩვენი გაანგარიშებით, აღნიშნული რაოდენობით სარგავი მასალის ღირებულება პირველ ეტაპზე შეადგენს 342,80 ლარს, მეორე ეტაპზე-590,7 ლარს, ორივე შემთხვევაში 933,5 ათას ლარს.

მეთუთეობის მეურნეობაში მითითებული რაოდენობით სარგავი მასალის საწარმოებლად სანერგის მოწყობის შესახებ მასალები წარმოდგენილია 1 დანართში.

როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, პირველ ეტაპზე მოეწყობა 1,70 ჰა. სათესი განყოფილება და 7,0 ჰა. სანერგე სკოლა, რისთვისაც საჭირო იქნება 13,2 კგ. თესლი და 429,0 ათასი ძირი თესლნერგი (დანართი 2).

ცხრილი 3. თუთის ნერგის საჭირო რაოდენობა და ღირებულება ხონის რაიონში

წელი / ეტაპი	საჭიროა 2015–2025 წლებში (ათასი ძირი)									
	სულ	მათ შორის		პლანტაცია (ჰა)	ერთეული ნარგაობა		მეჩხერიანობის სალიკვიდაციოდ	ნერგის ღირებულება		
		ნამყენი	ჰიბრიდული		ნამყენი	ჰიბრიდული		სულ	მათშორის	
									ნამყენი	ჰიბრიდული
2015	20,9	–	20,9	–	–	19,0	1,9	25,8	–	25,2
2016	27,5	13,6	13,9	2,2	11,4	11,4	2,5	43,88	27,2	16,68
2017	36,3	18,7	17,6	4,4	14,3	14,3	3,3	58,52	37,4	21,12
2018	38,8	21,0	17,8	6,7	14,3	14,3	3,5	63,36	42,0	21,36
2019	43,0	23,0	20,0	6,7	16,2	16,2	3,9	70,0	46,0	24,0
2020	50,5	26,7	23,8	7,5	19,2	19,2	4,6	81,96	53,4	28,56
სულ Iეტაპზე	**217,0**	**103,0**	**114,0**	**27,5**	**75,4**	**94,4**	**19,7**	**342,80**	**206,0**	**136,80**
2021	55,8	29,8	26,0	8,9	20,9	20,9	5,1	90,8	59,6	31,2
2022	63,4	33,8	29,6	10,0	23,8	23,8	5,8	103,12	67,6	35,52
2023	74,9	39,6	35,3	11,1	28,5	28,5	6,8	121,56	79,2	42,36
2024	83,3	43,4	39,9	11,1	32,3	32,3	7,6	134,68	86,8	47,88
2025	87,1	45,1	42,0	11,1	34,0	34,0	8,0	140,6	90,2	50,4
სულ IIეტაპზე	**364,5**	**191,7**	**172,8**	**52,2**	**139,5**	**139,5**	**33,3**	**590,76**	**383,4**	**207,36**
სულ ორივე ეტაპზე	**581,5**	**294,7**	**286,8**	**79,7**	**214,9**	**233,9**	**53,0**	**933,30**	**589,4**	**344,36**

შენიშვნა:1. ნერგების საერთო რაოდენობაში ნამყენი (საკუთარფესვიანი) იქნება 50%, რაც შეიძლება შეიცვალოს კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

2. ჰიბრიდული სარგავი მასალა სასურველია გამოიზარდოს ზონისათვის რეკომენდებული თესლით.

3. 1 ძირი ერთწლიანი სტანდარტული ნამყენი ნერგის ღირებულება გათვალისწინებულია 2 ლარი, ხოლო ჰიბრიდული ნერგის - 1,2 ლარი.

ამავე პერიოდში საჭირო იქნება 387,0 ათასი ძირი თუთის კვირტი,საიდანაც სანერგეში დაიმყნობა 180,0 ათასი კვირტი, ხოლო ერთეული მცენარეების ვარჯში გადაიმყნობა - 207,0 ათასი ძირი.

მეორე დანართის მიხედვით წარმოდგენილია საჭირო რაოდენობის თუთის თესლის, სამყნობი კვირტის, თესლნერგების, საჭირო შესახვევი პოლიეთილენის ღირებულება და სხვა ხარჯები.

წარმოდგენილი მასალების მიხედვით აღნიშნული ხარჯები შეადგენს 2015 წელს 4,3 ათას ლარს, I ეტაპზე–51,5 ათას ლარს, II ეტაპზე–87,2 ათას ლარს, ხოლო მთელ პერიოდში (ორივე ეტაპი) 138,0 ათას ლარს.

ჩვენი გაანგარიშებით, სარგავი მასალის წარმოება გათვალისწინებულია მხოლოდ ხონის მეთუთეობის მეურნეობაში და შემდეგ გაიცემა რაიონის მეაბრეშუმეებზე განსაზღვრული წესით. ამასთან ეკონომიკური თვალსაზრისით გაცილებით უკეთესი შედეგები მიიღება კონცენტრაციის მაღალი დონის პირობებში, ვიდრე კიდევ უფრო დაწვრილებული წარმოების შემთხვევაში.

ხონის რაიონში ნარგაობისთვის საჭირო მინერალური სასუქების რაოდენობის ღირებულება წარმოდგენილია მესამე დანართში, ხოლო 1,0 ჰა. თუთის სანერგეში საჭირო შხამქიმიკატების და სხვა საჭირო მაჩვენებლების მოპოვება შესაძლებელია მე-4,5,6 ცხრილში.

ხონის რაიონში 2015 წელს არსებული თუთის ფოთლის მარაგი (ცხრ.4) შეადგენს 55 ტონას, ხოლო პირველი ეტაპის დასასრულს, ახლად გაშენებული ნარგაობის ექსპლოატაციაში შესვლის პარალელურად მივიღებთ 121,7 ტონას, რაც ამდენივე კოლოფი ჭიის გამოსაკვებად იქნება საკმარისი.

პროექტის დასასრულს (2025 წელი) ფოთლის საერთო მარაგი 800 ტონას გადააჭარბებს, რაც დარგის აღმავლობის მყარ საფუძველს შექმნის.

ცხრილი 4. თუთის ფოთლის მარაგი და 2016-2025 წლებში გაშენებული ნარგაობიდან მოსალოდნელი მოსავალი (ტ)[1] ხონის რაიონში

წელი	არსებული ნარგობა			არსებული ფოთლის მოსალოდნელი რაოდენობა (ტ)	მიიღება 2015-2025 წწ. გაშენებული ნარგაობა			იქნება ფოთოლი სულ (ტ)
	სულ ძირი)	მათ შორის			სულ	მათ შორის		
		პლანტაცია ჰა/ძირი	ერთეული ნარგაობა			პლანტა-ციიდან	ერთეული ნარგაობიდან	
2015	8.9	10/4200	4.7	55				55
2016	8.9	10/4200	4.7	56				56
2017	8.9	10/4200	4.7	57				57
2018	8.9	10/4200	4.7	58				58
2019				58		1.2	16.5	75.7
2020				60	61.7	5.5	56.2	121.7
2021				61	131.8	16.3	115.5	192.8
2022				62	228.0	38.3	189.6	288.9
2023				62	355.4	65.3	290.1	417.4
2024				62	517.5	51.0	426.5	479.5
2025				62	762.0	129.0	643.0	829.0

მე-4 და მე-5 დანართში მოცემულია ახლად გაშენებული თუთის პლანტაციიდან და ერთეული ნარგაობიდან მოსალოდნელი ფოთლის მარაგი, რომელიც შეადგენს დაახლოებით 700 ტ. ფოთოლს, რაც ამდენივე კოლოფი ჭიის გამოსაკვებად იქნება საკმარისი.

შესწავლას დაქვემდებარებულ სანერგეში საშედეგო მაჩვენებლების გათვალისწინებით წარმოდგენილია 1 ჰა ფართობზე თესლნერგების (ცხ.5), ჰიბრიდული ნერგების (ცხ. 6) და ნამყენი ნერგების (ცხ. 7) ეკონომიკური მაჩვენებლების ძირითადი პარამეტრები, რაც სხვა რეგიონებისათვისაც შეიძლება სამაგალითო მასალების სახით იქნეს გამოყენებული.

მეთუთეობის მეურნეობაში 1 ჰა თუთის სათესი განყოფილების მოვლის ხარჯები, თესლნერგების წარმოება და ეკონომიკური მაჩვენებლები:

-მარჟინალური მოგება, პროდუქციის თვითღირებულება და რენტაბელობის მაჩვენებლები, ანალოგიური მიდგომით არის განხილული ნერგების, ცოცხალი პარკის, ჰაერმშრალი პარკის, გრენის და სხვა მაჩვენებლებით.

ფერმერები და სხვა კატეგორიის მუშაკები, რომლებიც მუშაობენ მეაბრეშუმეობაში ან პარკის გადამუშავების სფეროში ბუნებრივია ცდილობენ წარმოადგინონ თავიათი საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობა და სამომავლო შედეგები.

თუთის არსებული პლანტაციის (3X3) თითოეული ძირი მცენარიდან მიიღება დაახლოებით 7 კგ. ფოთოლი, ხოლო ერთეული ნარგაობიდან საშუალოდ 5 კგ.

მე-5 ცხრილში (შესაბამისად მომდევნო ცხრილებში) წარმოდგენილია პროდუქციის წარმოების, გაწეული ხარჯების, მარჟინალური მოგების, თვითღირებულების და რენტაბელობის მაჩვენებლები.

ცხრილი 5. **თუთის სათესი განყოფილების მოვლა-მოყვანის ხარჯები, თესლნერგების გამოსავლიანობა, თვითღირებულება და რენტაბელობა ხონის მეთუთეობის მეურნეობაში** (დარგობრივი ბიუჯეტი)

№	მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი	ზომის ერთეული	რაოდე-ნობა	ფასი (ლარი)	
				ერთეულის	სულ
1	თუთის თესლი პირველი კლასის	1 კგ	9.0	40	360
2	წარმოებული თესლნერგების რაოდენობა, ათასი ძირი და ღირებულება, ლარი	ათასი ძირი	200	0,10	20000
3	საექსპლოატაციო ხარჯები	ლარი	-	-	10 743
	-თუთის თესლი	1კგ.	9	10	360
	-ნაკელი, კომპოსტი	ტ.	30	10	300
	-მინერალური სასუქები: ნიტროამიფოსკა W_{16} P_{16} K_{16} (ან სხვა სასუქები აგროწესების მიხედვით	კგ.	250	1.2	288
	შხამ-ქიმიკატები: ა) მავნე მწერების საწინააღმდეგოდ ბ) დაავადების პროფილაქტიკისთვის პროპანების შემცველი პრეპარატები	ლტ. კგ.	1.5 3.0	30 20	45 45
	სარწყავი წყლის ღირებულება	ლარი	-	-	800
	საწვავ-საპოხი მასალები (ოთხჯერადი დამუშავება, კულტივაცია (5X17=85კგ.)	კგ.	85	2.0	170
	გაუთვალისწინებელი ხარჯები	ლარი	-	-	720
	შრომის ანაზღაურება (380-400 კაც/დღე)	კაც.	400	20	8000
4	მუდმივი ფიქსირებული ხარჯები				133
	მიწის გადასახადი	ჰა.	1.0	50	50
	ქონების გადასახადი				
	საშემოსავლო გადასახადი				
	დამატებითი ღირებულება				
	ამორტიზცია	ლარი	-	-	45
	ტექნიკის რემონტის დარიცხვის ხარჯები	ლარი	-	-	38
5	სულ პირდაპირი დანახარჯები	ლარი			10878
6	ზედნადები ხარჯები	ლარი			250
7	სულ დანახარჯები (6+7)	ლარი			11228
8	მარჟინარული მოგება (3-4)	ლარი	-	-	9257
9	მოგება (2-6)	ლარი	-	-	9122
10	ათასი ძირი თესლნერგის თვითღირებულება კაპ. დაბანდების გარეშე (6:2)	ლარი	-	-	50.3
11	წარმოების რენტაბელობა ((10:6)X100)	პროცენტი	-	-	84

ცხრილი 6. **ხონის მეაბრეშუმეობაში 1 ჰა. საძირეთა ნაკვეთის გაშენება და ჰიბრიდული ნერგის გამოზრდის ხარჯები, თვითღირებულება და რენტაბელობა** (დარგობრივი ბიუჯეტი)

№	მაჩვენებელთა დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ფასი(ლარი)	
				ერთეულის	სულ
1	თესლნერგი (დაზღვევის ჩათვლით)	ათასი ძირი	66	10	6600
2	გამოიზრდება ნერგი (ჰიბრიდული)	ათასი ძირი	32	-	-
3	მიიღება ნერგების რეალიზაციიდან	ათასი ლარი	32	1.2	38 400
4	საექსპლოატაციო ხარჯები	ლარი	-	-	16338
	მათ შორის: -თესლნერგების (დაზღვევის ჩათვლით) ღირებულება	ათასი ძირი	66.0	100	6 600
	-სასუქები: ნიტროამიფოსკა W_{16} P_{16} K_{16} (ან სხვა სასუქები აგროწესების მიხედვით	კგ.	230	1.2	276
	შხამ-ქიმიკატები: ა) დაავადების პროფილაქტიკისთვის პროპინების შემცველი პრეპარატები ბ) ფესვის სიდამპლის საწინააღმდეგო პრეპარატები	კგ კგ.	3.5 1.0	20.0 40.0	70 40
	სარწყავი წყლის ღირებულება	ლარი	-	-	1150
	საწვავ-საპოხი მასალები (ოთხჯერადი დამუშავება, კულტივაცია ნერგების ამოღება)	კგ.	260	2.0	520
	გაუთვალისწინებელი ხარჯები	ლარი	-	-	1980
	შრომის ანაზღაურება (380-400 კაც/დღე)	კაც.დღე	320	20.0	6400
5	მუდმივი ფიქსირებული ხარჯები	ლარი			143
	მიწის გადასახადი				50
	ქონების გადასახადი				
	საშემოსავლო გადასახადი				
	დამატებითი ღირებულება				
	ამორტიზცია	ლარი	-	-	48
	ტექნიკის რემონტის დარიცხვის ხარჯები	ლარი	-	-	45
6	სულ პირდაპირი დანახარჯები	ლარი			16481
7	ზედნადები ხარჯები	ლარი			850
8	სულ დანახარჯები (6+7)	ლარი			17329
9	მარჟინარული მოგება	ლარი	-	-	22064
10	მოგება (3-6)	ლარი	-	-	21369
11	წარმოებული პროდუქციის (გაზრდილი ნერგი) თვითღირებულება (6:2)	ლარი	-	-	0.52
12	წარმოების რენტაბელობა ((10:6)X100)	ლარი	-	-	120

ცხრილი 7. **1 ჰა. საძირეთა ნაკვეთის გაშენება და ერთწლიანი ნამყენი ნერგების გამოზრდის ხარჯები, თვითღირებულება და რენტაბელობა ხონის მეთუთეობის მეურნეობაში (დარგობრივი ბიუჯეტი)**

№	მაჩვენებელთა დასახელება	ზომის ერთეული	რაოდე-ნობა	ფასი(ლარი)	
				ერთეულის	სულ
1	წინა წლის საძირეთა ნაკვეთიდან კუთვნილი ხარჯები			23926	23926
2	გამოიზრდება ნერგი: ა) ნამყენი	ათასი ძირი	22.0	-	-
	ბ) ჰიბრიდული	ათასი ძირი	4.0	-	-
3	მიიღება ნერგების რეალიზაციიდან	ათასი ლარი			40.8
	ა)ნამყენი	"---"	18.0	2.0	36.0
	ბ)ჰიბრიდული	"----"	4.0	1.2	4.8
4	საექსპლოატაციო ხარჯები	ლარი	-	-	16 402
	-ჯიშიანი თუთის კვირტი	ათასი ცალი	30.0	16.0	526
	-ნამყენის შესახვევი ლენტა	კგ	30.0	5.0	150
	-სარწყავი წყალი	ლარი	-	-	1150
	-სასუქები: ნიტროამოფოსკა W_{16} P_{16} K_{16} (ან ამონიუმის გვარჯილა 34,4%, ფოსფორი-18,5%, კალიუმის მარილი 40%)	კგ.	250	1.2	305
	შხამქიმიკატები: ა)სარეველების საწინააღმდეგო მლფოსფატის შემცველი პრეპარატები ბ)დაავადების პროფილაქტიკისთვის პროპინების შემცველი პრეპარატები	ლ. კგ.	3.0 3.0	15.0 20.0	45.0 60.0
	-გაუთვალისწინებელი ხარჯები	ლარი	-	-	566
	-შრომის ანაზღაურება	კაც.დღე	320	20.0	7000
5	მუდმივი ფიქსირებული ხარჯები	ლარი			145
	მათ შორის: –მიწის გადასახადი				50
	–ქონების გადასახადი				
	–საშემოსავლო გადასახადი				
	–ამორტიზაცია		-	-	51
	–ტექნიკის რემონტის დანახარჯები		-	-	44
6	სულ პირდაპირი დანახარჯები (1+4+5)				40483
7	ზედნადები ხარჯები	ლარი			249
8	სულ დანახარჯები				40732
9	მარჟინარული მოგება (3-4)	ლარი	-	-	24398
10	მოგება (3-6)	ლარი	-	-	317
11	წარმოებული 1 ძირი ნერგის თვითღირე-ბულება კაპ.დაბანდების გარეშე (6:2)	ლარი	-	-	1.85
12	წარმოების რენტაბელობა ((10:6) 100%		-	-	0.2

ცხრილი 8. **თუთის სანერგიდან (1 ჰა.) ერთწლიანი ნერგების წარმოების შედეგები (სრული ციკლით: 0,25 ჰა.სათესი განყოფილება 1 ჰა საძირე ნაკვეთის გაშენება და მესამე წელს ერთწლიანი ნამყენი ნერგების წარმოება) და ეკონომიკური ეფექტიანობა**

№	მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი	ზომის ერთეული	ღირებულება, ლარი
1	მიიღო თუთის ნერგი სულ	ათასი ძირი	22,0
	მათ შორის: ა)ნამყენი ბ)ჰიბრიდული	 “----“ “----“	 18.0 4.0
2	პროდუქტის რეალიზაციიდან ამონაგები	ათასი ძირი	40.8
	მათ შორის: ა)ნამყენი (1,0 ათასი ძირიX2 ლარი) ბ)ჰიბრიდული(4.0 ათ სი ძირიX1,2 ლარი)	 “------“ “-----“	 36.0 4.8
3	მთლიანი დანახარჯები სულ		40732
	მათ შორის: ა)პირდაპირი ხარჯები ბ)ფიქსირებული ხარჯები	 ლარი “----“	 40483 145
4	თვითღირებულება 1 ძირი ნერგის მათ შორის: ა)ნამყენი ბ)ჰიბრიდული	 ლარი “----“	 1.85 0.52
5	მოგება	ლარი	317
6	წარმოებული პროდუქციის რენტაბელობა	პროცენტი	0.2

ხონის რაიონის მეთუთეობის მეურნეობაში სანერგის მოწყობის, თესლნერგის და ნერგის წარმოების მაჩვენებლები[1]

დანართი 1.

წელი	მოეწყობა			გამოიზრდება ნერგი (ათასი ძირი)		
	სათესი განყოფილება(ჰა)	გამოიზრდება თესლნერგი (ათასი ძირი)	სანერგე სკოლა (ჰა)	სულ	მათ შორის	
					ნამყენი	ჰიბრიდული
2015	0.06	22.0	0.36	11.0	–	11.0
2016	0.20	53.5	0.89	27.5	13.6	13.9
2017	0.30	71.5	1.21	36.3	18.7	17.6
2018	0.30	76.0	1.35	38.8	21.0	17.8
2019	0.34	86.0	1.50	43.0	23.0	20.0
2020	0.4	100.0	1.69	50.5	26.7	23.8
Iეტაპი	**1.70**	**409.2**	**7.0**	**207.0**	**103.0**	**26.0**
2021	0.44	110.5	1.8	55.8	29.8	26.0
2022	0.50	125.5	2.1	63.4	33.8	29.6
2023	0.60	145.4	2.3	14.9	39.6	35.3
2024	0.15	165	2.5	83.3	43.4	39.9
2025	0.70	172.5	2.8	87.1	45.1	42.0
IIეტაპი	**2.90**	**718.9**	**12.0**	**364.5**	**191.7**	**172.8**
სულ ორივე ეტაპი	**4.6**	**1128.1**	**19.0**	**571.5**	**297.7**	**176.8**

1. სათეს განყოფილებაში თესლნერგების საჰექტარო გამოსავლიანობა ნავარაუდევია 200 ათასი ძირის ფარგლებში
2. სათესი სკოლის თითოეულ ჰა-ზე დაირგვება 60 ათასი თესლნერგი, გაიხარებს დაახლოებით 90%, ხოლო სამყნობად ივარგებს 60%.
3. ნამყენთა გახარება-შენარჩუნება ნავარაუდებია 60%-ის ფარგლებში.

ხონის რაიონში თუთის თესლის, კვირტის, თესლნერგის საჭირო რაოდენობა და ღირებულება[1]

დანართი 2.

წელი / ეტაპი	საჭიროა სადაზღვევო ფონდის (10%)-ჩათვლით					ღირებულება, ლარი				
	თესლი (კგ)	თესლნერგი (ათასი ძირი)	კვირტი (ათასი ცალი)			თესლი	კვირტი	თესლ-ნერგი	ჰოლიეთი - ლენის	სულ(ათასი ლარი
			სულ	მათ შორის						
				სანერგეში	ვარჯ-ში					
2015	0.9	42.0	21.0	–	21	31,5	336	4.2	84	4.6
2016	1.6	53.5	28.0	–	28.0	56.0	448	5.3	112	6.0
2017	2.4	71.5	74.0	39.0	35.0	84.0	1184	7.2	296	7.5
2018	2.4	76.0	75.0	39.0	36.0	84.0	1200	7.6	300	9.2
2019	2.7	86.0	88.0	49.0	40.0	94.5	1408	8.6	352	10.5
2020	3.2	100.0	101.0	54.0	47.0	112.0	1616	10.0	404	12.0
I ეტაპი	**13.2**	**429.0**	**387.0**	**18.0**	**207.0**	**462.0**	**619.2**	**43.0**	**1548**	**50,3**
2021	3.5	110.5	120.0	68.0	52.0	122.5	1920	11.1	480	14.0
2022	4.0	125.5	127.0	68.0	59.0	140.0	2032	12.6	508	15.0
2023	4.8	145.4	140.0	70.0	70.0	108.0	2240	14.5	580	17.0
2024	5.0	165.0	159	80.0	79.0	175.0	2544	16.5	636	20.0
2025	5.6	172.5	173	89.0	84.0	196.0	2768	17.3	692	21.0
II ეტაპი	**22.9**	**718.9**	**719.0**	**375.0**	**344.0**	**801.5**	**11504**	**72.0**	**2876**	**87.0**
სულ I და II ეტაპი	**36.1**	**1147.9**	**1106.0**	**555.0**	**551.0**	**1263.5**	**17690**	**115.0**	**4424**	**138.3**

1. –1 კგ.თესლის ფასი შეადგენს 35 ლარს
   –ათასი ცალი კვირტის 16 ლარი
   –ათასი ცალი თესლნერგის–(1000 X 10 თეთრი) 100 ლარი.
   –1 კგ. სახვევი 4 ლარი. 1000 ძირი. (1000 ძირს ახვევს 1 კგ.)

მინერალური სასუქების საჭირო რაოდენობა და ღირებულება

დანართი 3.

წლები / ეტაპი	თ უ თ ა				ს ა თ ე ს ი			ს ა ნ ე რ გ ე			ს უ ლ	
	პლანტაცია (ჰა)	ერთეული ნარგაობა(ათასი ძირი)	საჭირო სასუქი	სულ ღირებულება (ლარი)	ფართობი (ჰა)	საჭირო სასუქი (კგ)	ღირებულება (ლარი)	ფართობი (ჰა)	საჭირო საუქი (ტ)	ღირებულება (ლარი)	საჭირო სასუქი (ტ)	საჭირო თანხა (ლარი)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
2015	-	21.0	3.4	3150	0.06	9.0	11.0	0.36	44.0	53.0	3.5	4200
2016	2.2	27.0	4.0	4288.0	0.20	30.0	36.0	0.89	133.0	140.0	4.5	4800
2017	4.4	32.0	5.6	6320.0	0.30	45.0	54.0	1.20	180.0	216.0	4.7	5640
2018	6.7	39.0	6.8	8160.0	0.30	45.0	54.0	1.35	202.0	242.0	7.1	8456
2019	6.7	43.0	7.2	8640	0.34	51.0	61.0	1.50	225.0	247.0	7.1	8520
2020	7.5	50.0	8.6	1032.0	0.40	60.0	72.0	1.69	253.0	304.0	10.0	12000
I ეტაპი	27.5	219.0	36.0	4320.0	1.70	275.0	330.0	7.0	1050.0	1260.0	37.0	44400
II ეტაპი	52.5	364.0	62.4	7488.0	2.90	435.0	522.0	12.0	1800.0	2160	84.0	100800
სულ2015-2022 წლებში	80.0	576.0	98.4	11808	4.60	710.0	852.0	19.0	2850.0	3420.0	121.0	144200

1. სვეტი=სვეტი 2+სვეტი 3X150 კგ-ზე(ნორმა)=საჭირო რაოდენობას. სასუქების ნორმა პლანტაციებში, ერთეულ ნარგაობაში (ათასი ძირი) და სანერგეში შეადგენს 15 კგ. ჰა-ზე (დაავადების გავრცელების ზონა).
2. 1 კგ. ნიტროამიფოსკა W_{16} P_{16} K_{16} -ის საბაზრო ფასი 2014 წლის მაისში შეადგენდა 1,20 ლარს, თუმცა მომდევნო პერიოდში ბუნებრივია ცვალებადობდა.

ხონის რაიონში მოსავლიანი თუთის პლანტაციის ფოთლის საჰექტრო მოსავლიანობა (კგ) და საერთო მოსავალი (ტ).

დანართი 4.

მაჩვენებლები / გაშენების წელი	მოსავლიანი ფარ,რაოდენობა		2019წ		2020წ		2021წ		2022წ		2023წ		2024წ		2025წ		2026წ	
	სულ(ათასი ძირი)	ჰა.	მოსავლიანობა	საერთო მოსავალი	მოსავლიანობა	საერთო მოსავალი	მოსავლიანობა	საერთო მოსავალი	მოსავლიანობა	საერთო მოსავალი	მოსავლიანობა	საერთო მოსავალი	მოსავლიანობა	საერთო მოსავალი	მოსავლიანობა	საერთო მოსავალი	მოსავლიანობა	საერთო მოსავალი
2016	2.0	2.2	–	–	2.5	5.5	3.0	6.6	4.0	8.8	5.0	11.0	6.0	13.1	7.0	15.4	8.0	17.0
2017	5.0	4.4	–	–			2.5	9.7	3.0	13.2	4.0	17.6	5.0	22.0	6.0	26.4	7.0	30.8
2018	7.4	6.7	–	–					2.5	16.3	3.0	20.0	4.0	26.8	5.0	33.5	6.0	40.2
2019	7.4	6.7	–	–							2.5	16.7	3.0	20.0	4.0	26.8	5.0	33.5
2020	8.5	7.5	–	–									2.5	18.8	3.0	22.5	4.0	30.0
2021	10.1	9.0	–	–	–	5.5	–	16.3	–		–		–		–		2.5	22.5
2022	11.0	10.0	–	–														
2023	12.4	11.1	–	–														
2024	12.4	11.1	–	–														
2025	12.4	11.1	–	–														
2026	88.6	79.8	–	–	–	5.5	–	16.3	–	38.3	–	65.3	–	31.0	–	124.2	–	174.6

ხონის რაიონში თუთის ერთეული ნარგაობა, მოსავლიანობა (კგ) და საერთო მოსავალი (ტ)

დანართი 5.

მაჩვენებლები / ბაშენების წლები	სულ მცენარეთა რ-ბა. (ათასი ძირი)	მოსალოდნელი მოსავლიანობა (კგ) და საერთო მოსავალი (ტ)												
		წ ლ ე ბ ი												
		2020		2021		2022		2023		2024		2025		2026
		1მცენარიდან	სულ	1 მცენარიდან	სულ	1 მცენარიდან	სულ	1 მცენარიდან	სულ	1 მცენარიდან	სულ	1 მცენარიდან	სულ	სულ
2016	22.8	1.5	34.2	2.0	45.6	2.5	57.0	3.0	68.4	4.0	91.5	5.0	111.4	136.8
2017	28.6			1.5	42.4	2.0	57.2	2.5	71.5	3.0	85.8	4.0	114.4	143.0
2018	28.6					1.5	42.4	2.0	57.7	3.0	85.6	4.0	114.4	143.0
2019	32.4							1.5	48.6	2.0	64.8	3.0	97.2	129.6
2020	38.4									1.5	57.6	2.0	76.8	134.6
2021	41.8											1.5	62.7	83.6
2022	47.6													71.4
2023	57.0													
2024	64.6													
2025	68.0													
სულ	456.8		34.2		97.1		156.6		245.7		375.0		576.4	842.6

2.2.პარკის წარმოება, პირველადი დამუშავება, ხამი ძაფის ამოხვევა და რეალიზაცია.

პარკის წარმოება ნავარაუდევია ხონის რაიონის მთელ ტერიტორიაზე არსებული საკვები ბაზის, შრომითი რესურსების, საწარმოო საშუალებების და პროექტის განხორციელების პერიოდში მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით.

პირველი ეტაპზე საჭირო იქნება უცხოური გრენის შემოტანა, ხოლო შემდგომ წლებში ადგილობრივი გრენა იქნება გამოყენებული.

გრენა დამზადდება თუთის აბრეშუმხვევიას ადგილობრივი ჯიშებიდან (დიდმურების ჯგუფი) ჩოხატაურის საგრენაჟო ქარხანასა და ახლად აღდგენილ ხონის სასელექციო სადგურში.

გამოკვებაში შეიძლება ჩაერთოს აგრეთვე სხვა ადგილობრივი ჯიშები მოვლა-მოყვანის ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით.

პროგრამის საწყის ეტაპზე პარკის პირველადი დამუშავება იწარმოებს ხონის მიმდებ პუნქტში არსებული სიმპლექსის დანადგარებზე, ხოლო შემდეგ ახლად შეძენილი ტექნიკითა და უახლესი ტექნოლოგიით. ამასთან, თუ უახლოეს წლებში შესაძლებელი გახდება ცოცხალი პარკის ამოსახვევი მცირე წარმადობის დანადგარების შეძენა (კუსტარული რეწვისათვის), რაც სოლიდურ მოგებას მისცემს წარმოებას.

ხონის რაიონში 2010 წელს თუთის ერთეული ნარგაობა შეადგენდა 4667 ძირს, მათ შორის ჯიშიანი 905 და უჯიშო-3742 ძირი. ეს იმას ნიშნავს, რომ საწყის ეტაპზე გაახალგაზრდავებას დაექვემდებარება 905 ძირი, ხოლო ვარჯში გადამყნობას 3742 ძირი. ფოთლის არსებული მარაგიდან გამომდინარე ჭიის გამოკვების ხელშეკრულება შეიძლება გაფორმდეს ათასამდე ოჯახთან, ხოლო სასელექციო სადგურში 30 კოლოფი ჭიის გამოკვება იქნება შესაძლებელი.აქვე უნდა მოეწყოს შერჩეული ჯიშების (დიდმურები) გამოკვება ჰიბრიდული გრენის დასამზადებლად.

საინვესტიციო პროგრამის მთელი პერიოდისათვის რეალიზებული გრენის, პარკისა და ხამი ძაფის წარმოების მაჩვენებლები მოტანილია მე- 9 ცხრილში.

ცხრილი 9. **გრენის რეალიზაცია, პარკის მოსავლიანობა, წარმოება და ხამი ძაფის რაოდენობახონის რაიონში**

წელი / ეტაპი	გრენის რეალიზაცია		პარკის მოსავლიანობა, კგ		პროდუქცია, კგ		
	კგ	კოლოფი	1გ ჭიიდან	1კოლოფი ჭიიდან	ცოცხალი პარკი	ჰ/მშრალი პარკი	ხამი ძაფი
1	2	3	4	5	6	7	8
2015	1.50	55	2.30	62	3416	1314	376.0
2016	1.51	56	2.30	62	3472	1335	381.0
2017	1.54	57	2.30	62	3534	1367	391.0
2018	1.56	58	2.33	63	3554	1367	391.0
2019	2.00	77	2.33	63	4851	1866	533.0
2020	3.20	121	2.36	64	7789	2967	819
სულIეტაპზე	**11.4**	**424**	**2.35**	**62.8**	**26629**	**11820**	**3377**
2021	4.8	178	2.36	64	11399	4354.0	1244
2022	8.0	296	2.40	65	12240	7015.0	2004
2023	11.1	411	2.40	65	26715	10275	2936
2024	16.0	592	2.40	65	38480	14800	4228
2025	22.5	835	2.40	65	54275	20875	5964
სულ II ეტაპზე	**62.4**	**2312**	**2.4**	**64.5**	**149058**	**57319**	**16376**
სულ ორივე ეტაპზე	**73.8**	**2735**	**2.3**	**64.2**	**179770**	**69139**	**19753**

ცხრილში მოტანილი მასალებიდან ჩანს, რომ რაიონში 2015 წელს გამოიკვებება 55 კოლოფი ჭია, დამზადდება 3416 კგ ცოცხალი პარკი და 336 კგ ხამი ძაფი, ხოლო 2019 წელს, როდესაც ექსპლოატაციაში შევა 2015 წელს გაშენებული თუთის ნარ-გაობა მითითებული მაჩვენებლები შესაბამისად დაახლოებით 40%-მდე გაიზრდება, ხოლო 2025 წელს, სოლიდურ მაჩვენებლებს მიაღწევს, რაც დარგის შემდგომი განვითარებისა და ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების რეალურ პირობებს შექმნის.

პირველ ეტაპზე დამზადებული ხამი ძაფი ძირითადად ქვეყანის შიდა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იქნება გამოყენებული, ხოლო მეორე ეტაპზე-საექსპორტო ნაწარმის დასამზადებლად.

წარმოებული პროდუქციის რეალიზაციით მოსახლეობა მიიღებს სოლიდურ ფულად შემოსავალს, მომხმარებელი- კონკურენტუნარიან პროდუქციას, ხოლო ტურისტები-უნიკალურ კუსტარულ (გობელენი, საეკლესიო დანიშნულების ნივთი და სხვა) ნაწარმს, რაც სოფლის მოსახლეობის დასაქმების და მყარი შემოსავლის მიღების გარანტი იქნება.

2.3. ცოცხალი პარკის წარმოება, მოგება და რენტაბელობა

გათვალისწინებული რაოდენობით თუთის ფოთოლის, აბრეშუმის პარკის, გრენის, ხამი ძაფის, ქსოვილის წარმოებისათვის საჭიროა მისი ინფრასტრუქტურაშენობა-ნაგებობები, დაზგა-დანადგარები და საჭირო საბრუნავი საშუალებები-გრენა, ინვენტარი, პესტიციდები, სასუქები, ტრანსპორტი, შრომითი რესურსები და ა.შ.

ცვალებად დანახარჯებს მიეკუთვნება: გრენა, ფოთოლი, ლასტები, ფორმალინი, ინკუბაციის ხარჯები, ქაღალდი, გოგირდი, თერმომეტრი, ფსიქრომეტრი და სხვა სახის წვრილი ინვენტარი, რომელთა ცვალებადობა ხდება გამოსაკვები ჭიის რაოდენობის (კოლოფი, გრამი) და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

მუდმივი დანახარჯების სახით წარმოდგენილია დაზგა-დანადგარების, შენობა-ნაგებობების ამორტიზაცია, მიწის გადასახადი, ქონების გადასახადი, მუდმივი დაქირავებული მუშახელის ხელფასი და ა.შ.

ქვეყანაში მოქმედი საარსებო მინიმუმის გათვალისწინებით, მეაბრეშუმეობაში დასაქმებულ ადამიანთა მიერ შესრულებულ სამუშაოების სახეების მიხედვით გამომუშავების ნორმები, თანრიგზე მიკუთვნების მასალები წარმოდგენილიაშესაბამის ცხრილებში. თუმცა პრაქტიკულად მისი ყოველდღიურად გამოყენება დაგჭირდება მხოლოდ გამსხვილებული (ცენტრალიზებული) გამოკვების შემთხვევაში. სადღეისოდ კი რადგან პრაქტიკულად მხოლოდ საკარმიდამო მეაბრეშუმეობაა გავრცელებული, მეაბრეშუმეებს ანაზღაურება ეძლევათ წარმოებული პარკის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით (რომელიც განსაზღვრულია ზემოთაღნიშნული ნორმების საფუძველზე) ხელშეკრულების საფუძველზე შეთანხმებული ფასებით, ამიტომ შრომითი დანახარჯები აღნიშნულის გათვალისწინებით გვაქვს გაანგარიშებული.

არსებული რესურსების გათვალისწინებით ხონელი მეაბრეშუმეები 2015 წელს გამოკვებავენ 52 კოლოფ ჭიას, აწარმოებენ 3,21 ტ პარკს და მიიღებენ 19,2 ათას ლარს.წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება 1კგ-ზე იქნება 5,9 ლარი, ხოლო რენტაბელობის დონე 0,5%.

პირველი ეტაპის დასასრულისათვის თუთის ახალი ნარგაობის ექსპლოატაციაში შესვლის პარალელურად პარკის წარმოება შეადგენს 7,7 ტონას, (ცხრ.9) ფულადი შემოსავალი 46,5 ლარს, ხოლო 2025 წელს შესაბამისად 54,3 ტონას და 325,8 ლარს.

ფერმერულ მეურნეობებში 52 კოლოფი ჭიის გამოკვებისა და 3,2 ტ.პარკის წარმოების ხარჯები (დარგობრივი ბიუჯეტი)ხონის რაიონში

ცხრილი10.

№	მაჩვენებელთა დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ფასი (ლარი)	
				ერთეული	სულ
1	მეაბრეშუმეებზე გაცემული გრენა: ა) ბ)	კგ. კოლოფი	1.40 52.0	800 21.5	1120 1120
2	პარკის მოსავლიანობა 1 კოლოფი ჭიიდან (27გ)	კგ.	60.0	6.0	360
3	წარმოებული პროდუქციის და რეალიზაციიდან ამონაგები	ტ.	3.2	6000	19200
4	საქსპლოატაციო (ცვლადი)დანახარჯები	ლარი			19024.0
	მათ შორის: გრენა –	კგ.	1.40	800.0	1120
	ფორმალინის ხსნარი (40%)	ლიტრი	100.0	3.0	300
	საინკუბაციო ხარჯები	კოლ.	52.0	2.0	104
	ფოთოლი	ტ.	52.0	40.0	2080
	ქაღალდი (საფენი, გადასაყვანი)	კგ.	400.0	0.7	280
	ლასტი (4X1,3)	ცალი	65.0	2.5	162.5
	ცახი მერქნოვანი	კონა	130	3.0	390
	სხვა ხარჯები (თერმომეტრი,კიბე...)	–	–	–	300
	მეაბრეშუმეთა შრომის ანაზღაურება (2-1) [1]	კაც/დღე	1700	8.0	11200
	სათაო პარკსაშრობის დირექტორი, იგივე პ/პ დამუშავების პუნქტის გამგე, [2]	თვე	6	200	1200
	აგრონომი (2)	თვე	4	150	600
	დარაჯი (დამლაგებელი)	თვე	12	100	1200
	გაუთვალისწინებელი ხარჯები	-	-	-	150
5	მუდმივი ფიქსირებული ხარჯები	-	-	-	-
6	სულ პიდაპირი ხარჯები	-	-	-	19024
7	ზედნადები ხარჯები	-	-	-	82
8	სულ დანახარჯები (1677)	ლარი	-	-	19106
9	მარჟინალური მოგება(3–4)	ლარი	–	–	176,0
10	მოგება (3-8)	ლარი	-	-	94,0
11	წარმოებულიცოცხალი პარკის თვითღირებულება (6-2)	ლარი	-	-	5,9
12	პროდუქციის წარმოების რენტაბელობა (3:6)100	-	-	-	0,5% ნაკლები

1. საოჯახო შრომის (ქალები, მოზარდები, მოხუცები) ანაზღაურება აღებულია 1 კაც/დღე 8 ლარი;
2. დირექტორი მუშაობს მთელი წლის განმავლობაში, მაგრამ ხარჯები განაწილდება პარკის წარმოებაზე (6 თვე) და პირველად გადამუშავებაზე (6 თვე);

მოტანილი მასალების ანალიზით იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ცოცხალი პარკის წარმოების საქმეში მდგომარეობა ცუდი არ არის, თუმცა, საბოლოო პროდუქციის წარმოების შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ სახარბიელო სურათი არ გვექნება. ამიტომ მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე დარგში დასაქმებული ყველა მუშაკიუნდა იყოს ცოცხალი პარკის წარმოებაზე გაწეული შრომითი (მატერიალური) დანახარჯების შემცირება, პარკის ფასების დარეგულირება და მსოფლიო ბაზრის ფასებთან მიახლოება.

საქმე იმაშია, რომ მეაბრეშუმეობის მოწინავე ქვეყნებში 1კგ. ცოცხალი პარკის წარმოებაზე იხარჯება 2-3 კაც/საათი, ხოლო საქართველოში 2,5-3,0-ჯერ მეტი. ამიტომ ცოცხალი პარკის თვითღირებულებაში შრომითი დანახარჯების ხვედრითი წილი 70-80%-ის ფარგლებშიმერყეობს, რაც გაუმართლებლად მაღალია. ასეთ ვითარებაში მეაბრეშუმეები 1კგ. ხარისხოვანი პარკის წარმოებისათვის 5-6 დოლარის ანაზღაურებას ითხოვენ, რაც 45-50%-ით აღემატება მსოფლიო ბაზრის შესადარ მაჩვენებელს.

ბუნებრივია ცოცხალი პარკის მაღალი ფასი ზრდის საბოლოო პროდუქციის თვითღირებულებას, ზღუდავს მისი გავრცელების შესაძლებლობას და აფერხებს დარგის განვითარებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინვესტორმა სასურველი საბოლოო შედეგის მიღწევის მიზნით პირველ რიგში უნდა იზრუნოს მეაბრეშუმეთა პირობების გაუმჯობესებისათვის რაც გულისხმობს;

თუთის აბრეშუმხვევიას მაღალპროდუქტიული, გამოკვების მოკლე პერიოდის (25-27 დღე) მქონე ჯიშების გავრცელებით მეაბრეშუმეთადაინტერესებას;

მცირე მექანიზაციის საშუალებათა (ფოთოლსაჭრელი, ყლორტსაცლელი, პარკსახვევი) გამოყენებას, პოლიეთილენის ბადეებით, პლასტმასის ცახებით, ლასტებით სარგებლობას, რაც ცალკეულ სამუშაო ოპერაციების მიხედვით შრომის დანახარჯის დიდ ეკონომიას მოგვცემს;

თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვების პროგრესული მეთოდების დანერგვის,შრომის ორგანიზაციის სრულყოფას და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოგვარებას.

დარგში შექმნილი ვითარების გაუმჯობესებისა და ინტეგრაციის შინაარსობრივი დატვირთვის სრულყოფის მიზნით უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი კოოპერატივები (ამხანაგობები) და ინტეგრირებული საწარმოები (საკარმიდამო მეაბრეშუმეობა+ხამი ძაფის რეგიონალური ამოხვევა, ქსოვა, კუსტარული წარმოება), რომლებიც მოახდენენ საბოლოო პროდუქციის წარმოების შედეგებთან, მეაბრეშუმეების ეკონომიკური ინტერესების მიბმას–რეალიზებული პროდუქტის ამონაგების კუთვნილებისამებრ მეაბრეშუმეებზე გადანაწილების გზით.

2.4. ჰაერმშრალი პარკის წარმოება, თვითღირებულება, მოგება და რენტაბელობა.

ჰაერმშრალი პარკის თვითღირებულებაში ნედლეულის (ცოცხალი პარკის) ხვედრითი წილი 95-98%-ის ფარგლებში მერყეობს, რაც გაუმართლებლად მაღალია, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, თუ მივაღწევთ ცოცხალი პარკის ფასების 4,5-5,0 ლარის ფარგლებში დარეგულირებას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, შესაძლებელი გახდება მსოფლიო ბაზარზე (ჩვენი ჯიშებისა და ქსოვილების მაღალი ხარისხის გამო) გასვლა, ამასთან მეაბრეშუმეობის ქვეყნებისმოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვით შეიძლება სერიოზულ წარმატებებს მივაღწიოთ საბოლოო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების (ჩვენი ჯიშების მაღალპროდუქტიულობა და ქსოვილების მაღალი ხარისხი) და ფასების მოწესრიგების მიმართულებით.

ხონის რაიონში 1233 კგ. ჰაერმშრალი პარკის წარმოება, თვითღირებულება დარენტაბელობა. (დარგობრივი ბიუჯეტი)[1]

ცხრილი 11.

№	მაჩვენებელები	ზომის ერთეული	რაოდენობა	ფასი (ლარი)	
				ერთეული	სულ
1	ჰაერმშრალი პარკი[1]	კგ.	1253	-	-
2	ჰაერმშრალი პარკის რეალიზაცია	კგ.	1253	9.0	11267
3	საექსპლოატაციო (ცვალებადი) ხარჯები	ლარი			22838
	მათ შორის:ცოცხალი პარკი	ტ.	3.2	6000	19200
	პარკის გამოშრობისათვის საჭირო ხარჯები (დიზელი)	ლიტრი	750	2.0	1500
	ბარდნები	ც.	37	4.0	148
	ელექტროენერგია	კვ/სთ	1100		
	სატრანსპორტო ხარჯები	ლარი	-	-	180
	შრომითი დანახარჯები: სათაო პარკსაშრობის დირექტორი, იგივე პ/პ დამუშავების გამგე 6 თვით	ლარი	1	200	1200
	მუშა 2 თვით	"– –"	1	100	200
	ბუღალტერი (ფინანსისტი) 6 თვით	"– –"	1	150	900
	ტრენინგი-მოწვეული სპეციალისტი მეაბრეშუმეთა და კუსტარულ მეწარმეთა კვალიფიკაციის ამაღლება,1თვე	"– –"	3	200	600
	მივლინების ხარჯები	-	-	-	
4	მუდმივი ფიქსირებული ხარჯები				50
	ამორტიზაცია (სიმპლექსი, ფარდული)	ლარი	-	-	50
5	ზედნადები ხარჯები				60
6	სულ დანახარჯები:(3+4+5)	ათასი ლარი			22948
7	მარჟინალური მოგება(2–3)	ლარი	–	–	
8	მოგება (2–6), ზარალი -				11168
9	ჰაერმშრალი პარკის თვითღირებულება[2] (6:2)				18,2
10	რენტაბელობა(2:6X100), ზარალი -				- 500

1.ცოცხალი პარკი=3,2ტ. 2,60(კოეფიციენტი) =1233 კგ- ჰაერმშრალი პარკი.

ამისათვის აუცილებელია:

ა) არსებული სიმპლექსის ტიპის პარსაშრობი მოწყობილობის უახლესი დანადგარით შეცვლა, რაც შეამცირებს საწვავის, ელექტროენერგიის, გაზის დანახარჯებს, შეინარჩუნებს პარკის ხარისხს და გაზრდის ცოცხალი პარკიდან ჰაერმშრალი პარკის გამოსავლიანობის კოეფიციენტს.

ბ) ლიტერატურული მონაცემების მიხედვით მეაბრეშუმეობის სრული ციკლის (თუთა+ საბოლოო პროდუქცია) დამთავრების შემდეგ მთლიანი მოგება (100%) დაახლოებით ასე ნაწილდება.

- მეაბრეშუმეობა-ცოცხალი პარკი + პირველადი დამუშავება = პრაქტიკულად მოგება უმნიშვნელოა.
- ძაფსახვევ-საგრეხი წარმოება = ხამი ძაფი, მოგება 20-25%.
- საბოლოო პროდუქცია= ქსოვილი, კუსტარული წარმოება = 75-80%. ასეთ ვითარებაში ინვესტორი უნდა ცდილობდეს დარგის სრული ვერტიკალური ინტეგრაციის განხორციელებას, რაც დარგის მომგებიანობის გარანტიას იძლევა.

საქართველოში მითითებული კოეფიციენტი შეადგენს 2,70-ს, ხოლო მეაბრეშუმეობის დაწინაურებულ ქვეყნებში -2,50-ს. ეს იმას ნიშნავს, რომ 1000 კგ. ცოცხალი პარკიდან ჩვენ ვღებულობთ 370 კგ. ჰაერმშრალ პარკს, ხოლო ისინი 400 კგ-ს ანუ 30 კგ-ით მეტს. დღეს მოქმედი ფასებით 180-200 დოლარის ტოლფასია.

უდიდესი რეზერვებია ცოცხალი პარკის გამოშრობასთან იაფფასიანი ენერგიის წყაროს შერჩევის, პარკის ამოხვევის, ქსოვისა და საჭირო ტექნიკის შეძენასთან დაკავშირებით. თუმცა ახალი ტექნიკის უმჯობესია შევიძინოთ თანდათან პარკის წარმოების ზრდის შესაბამისად[1].

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცოცხალი პარკის ამოხვევას, რაც უდიდეს დანახარჯებს ზოგავს. ამ მიმართულებით გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში მეაბრეშუმეობის ინსტიტუტში სერიოზული მუშაობა ტარდებოდა (პროფ. გ. ჯოხარიძე) და ამ საქმის გაგრძელება საჭიროა.

შეიძლება მოვიძიოთ აგრეთვე სიმპლექსის ტიპის პარკსაშრობებიდან მოსახმარებელი ენერგიის გამოყენების შესაძლებლობის კვლევები (ო. ლაცაბიძე) რაც საინტერესო იყო.[2]

2.5. ათი კგ ჰიბრიდული გრენის დამზადება, მოგება და რენტაბელობა.

თუთის აბრეშუმხვევიას გრენის ხარისხი განისაზღვრება მაჩვენებელთა სისტემით (ცხრ.12), რომელთა შორის მეტად მნიშვნელოვანია აბრეშუმიანობა და ხამი ძაფის გამოსავალი, რის მიხედვითაც ქართული ჯიშების უპირატესობა ნათელია. თუმცა ბოლო პერიოდში გამოკვების ხანგრძლივობა უპირველეს მაჩვენებელთა სისტემაში დაწინაურდება; თუთის აბრეშუმხვევიას ქართული ჯიშები (მზიური1, მზიური2, დიღმური1, დიღმური2 და ა.შ.)არაფრით არ ჩამორჩება მსოფლიოში გავრცელებული "ჩინურიXიაპონური" ჰიბრიდის შესაბამის მაჩვენებელს, მაგრამ დამაჯერებელი რეკლამის საფუძველზე"ჩინური X იაპონური" ჰიბრიდის გრენა მაინც დიდი უპირატესობით სარგებლობს და აქვს მაღალი საექსპორტო პოტენციალი.

საგრენაჟო ქარხნები შეიძლება ითქვას ზეგეგმიური გრენის წარმოების საქმეს სიფრთხილით უნდა მოეკიდონ,რადგან რეალიზაციის დაბრკოლების შემთხვევაში უნდა დაიქოლოს.

სადღეისოდ მსოფლიო ბაზარზე 1 კგ გრენის ფასი შეადგენს 800-900$, ხოლო გადახრებიც ხდება, რაც მძიმედ აწვება მეაბრეშუმეთა ხარჯებს. ამიტომ ადგილობრივი გრენის წარმოების გადიდება სახელმწიფოებრივ საქმედ უნდა მივიჩნიოთ. მასთან, საერთაშორისო ბაზარზე, მკაცრი კონკურენციის პირობებში მეტად ძნელია მოპოვებული პოზიციის შენარჩუნება და მით უფრო ახალი სეგმენტის დაკავება.

გრენის შიდა მოხმარებისათვის წარმოების შემთხვევაში, ხონის რაიონის (რეგიონის) კონკრეტული პირობების გათვალისწინებით უპირატესობა უნდა მიენიჭოს დიღმურების ჯგუფის გრენას, ხოლო ქართლის რეგიონისათვის-მზიურების ჯგუფისას.

მე-11 ცხრილიდან ჩანს, რომ საკონტროლოდ აღებული ჰიბრიდის- "ჩინური X იაპონური" აბრეშუმიანობა შეადგენს 19%-ს, ხოლო ქართული ჯიშებისა-23-26%-ის[2] ფარგლებში მერყეობს, რაც დიდი უპირატესობაა. საქმე იმაშია, რომ გასული

1. დაზგა-დანადგარები მოემსახურება არამარტო ხონის, არამედ მოსაზღვრე რეგიონებიდან მიღებული პარკის გადამუშავებასაც.
2. საცდელიშედეგების მიხედვით.

საუკუნის 80-იან წლებში წარმოებაში დასანერგად რეკომენდებული ცოცხალი პარკის სტანდარტი მეაბრეშუმეებთან ანგარიშსწორებას ჩაბარებული პარკის აბრეშუმიანობის მიხედვით არეგულირებდა (ცხრილი 12). როგორც ცხრილში წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს ხუთმა მეაბრეშუმემ გამოკვება განსხვავებული აბრეშუმიანობის თითო კოლოფი ჭია და მიიღო პარკის თანაბარი რაოდენობა (60კგ), თუმცა მათთან ანგარიშსწორება სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად განსხვავებული იქნება. ასე მაგალითად, მეაბრეშუმე, რომელმაც 1 კოლოფი "ჩინურიXიაპონური" ჰიბრიდი გამოკვება და 60კგ პარკი მოიწია, საბაზისო აბრეშუმიანობის (19%) გათვალისწინებით აუნაზღაურდება 60 კგ პარკის საფასური, ხოლო მეორე მეაბრეშუმეს იმავე რაოდენობის 26%-იანი აბრეშუმიანობის შემცველობის პარკისათვის მიეცემა (26X60:19) 82კგპარკის საფასური.

ცხადია, გამართული მარკეტინგული საქმიანობის შემთხვევაში ასეთი გრენა ყოველთვის ადვილად "დაიპყრობს" მსოფლიო ბაზრის სასურველ სეგმენტს.

ცხრილი 12. **თუთის აბრეშუმხვევიას ქართული ჯიშების ბიოტექნოლოგიური მაჩვენებლები**

№	მაჩვენებლები	ჯიშები				ჩინ.Xიაპ. (კონტრ.)
		მზიური 1	მზიური 2	დიღმური 1	დიღმური 2	
1	1გ-ში გრენის რაოდ.ც.	1559	1578	1620	1630	1666
2	გრენის გაცოცხლ.%	97.7	97.3	98.6	98.3	98.0
3	გამოკვ.ხანგრძ.,დღ.	30	30	29	29	26-28
4	ჭიის ცხოველმყ.,%	95.5	96.7	97.2	96.0	95-97
5	ცოცხ.პარკის მასა.,გ	2.5	2.5	2.3	2.4	2.0
6	გარსის მასა,მგ	594	587	601	588	450
7	აბრეშუმიანობა,%[1]	23.4	23.3	26.2	24.9	19
8	დომფალი პარკი,%	8.6	4.7	2.1	2.1	1.3
9	პარკის ძაფის სიგრძე,მ	2222	2226	1679	1694	1180
10	ამოხვევის უნარიანობა,%	91.1	90.4	94.3	90.1	75

1. ქართული ჯიშების აბრეშუმიანობის მაჩვენებლები აღებულია ექსპერიმენტის შედეგების მიხედვით.

თუ მითითებული სტანდარტი არ დაინერგება წარმოებაში მეაბრეშუმეს არ მიეცემა აბრეშუმიანობასთან დაკავშირებული სხვაობა. მოგება დარჩება ინვესტორის სასარგებლოდ.

ცხრილი 13. **ცოცხალი პარკის აბრეშუმიანობა და აბრეშუმის ჭიის განსხვავებული ჯიშების ეკონომიკური ეფექტიანობა**

	ჯიში, ჰიბრიდი	გამოკვება (კოლოფი)	მიღებული პარკი(კგ)	აბრეშუმიანობანობა,%		ჩაბარებულად ჩაითვლება პარკი (კგ)	± საკონტროლოსთან შედარებით	ანაზღაურება,ლარი
				საკონტრო ლო (სანაზისო)				
№1	ჩინXიაპ. (კონტრ.)	1.0	60	19	19	60	-	360
№2	მზიური 1	1.0	60	19	23	73	13	438
№3	მზიური	1.0	60	19	23	73	13	438
№4	დიღმური 1	1.0	60	19	26	82	22	492
№5	დიღმური 2	1.0	60	19	26	78	18	468

1. 1 კგ პარკის ფასი 6 ლარი
2. პარკის ხარისხი განსხვავებულია აბრეშუმიანობის გათვალისწინებით.
3. საკონტროლოდ აღებულია ტაილანდური ჰიბრიდი (ჩინური Xიაპონური), ხოლო საცდელად წმინდა ქართული ჯიშები.

თუმცა, საბოლოოდ მისი წარმოების პერსპექტივა და ინვესტორის სურვილი გააგრძელოს თუ არა ამ სფეროში საქმიანობა დამოკიდებული იქნება წარმოების რენტაბელობასა და ეკონომიკურ ეფექტიანობაზე. იმ შემთხვევაში თუეს მაჩვენებლები უფრო დაბალი აღმოჩნდა, ვიდრე ალტერნატიული ინვესტიციის ან იმპორტული გრენის შემთხვევაში იქნებოდა, მაშინ უნდა გადაწყდეს ღირს თუ არა ამ სფეროში მუშაობის გაგრძელება, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ამის საშიშროება არ არსებობს.

-1კგ ჰიბრიდული გრენის სარეალიზაციო ფასი შეადგენს-800 ლარს;

-1კგ ჰიბრიდული გრენის თვითღირებულება შეადგენს -735ლარს, აღნიშნულის საილუსტრაციოდ წარმოდგენილია ცხრილში მოტანილი მასალები;

როგორცცხრილშია აღნიშნულისხვაობა სარეალიზაციო ფასსა და თვითღირებულებას შორის უდრის 898 ლარს;

-ყოველ დახარჯულ ლარზე ამონაგები შეადგენს 0,12 ლარს;

-10კგ ჰიბრიდული გრენის წარმოების რენტაბელობის დონე შეადგენს 110%-ს, რაც მისი რაოდენობრივი მატებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის კვალობაზე კიდევ უფრო გაიზრდება.

საქართველოში საგრენაჟო წარმოების რეაბილიტაცია-აღორძინების მიზნით საჭიროა:

-საინვესტიციო პროგრამის პირველ ეტაპზე უცხოური გრენის შემოტანის აუცილებლობიდან გამომდინარე იმპორტულ პროდუქციაზე უნდა დაწესდეს საბაჟო შეღავათები,ხოლო მეორე ეტაპზე შეღავათიანი ტარიფებით უნდა დაიბეგროს გრენის ექსპორტი.

საგრენაჟო და სასელექციო საქმიანობასთან დაკავშირებით შეიძლება ვისარგებლოთ (დანართი 2) სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული გამომუშავების სანიმუშო ნორმების გათვალისწინებით(გ.ნიკოლეიშვილი – ხელმძღვანელი, შ.ღვინეფაძე, გ.ბარამიძე, ლ.აფხაზავა).

ცხრილი 14. **ხონის მეთუთეობის მეურნეობაში (ყოფილ მეაბრეშუმეობის სასელექციო სადგურში) 10 კგ გრენის წარმოების ხარჯები, თვითღირებულება და რენტაბელობა**

№	მაჩვენებელთა დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ფასი (ლარი)	
				ერთეულის	სულ
1.	გრენის დასამზადებლად განკუთვნილი პარკი	კგ	150	15	2250
2.	გრენის გამოსავლიანობა წარმოებაში გაშვებული თითოეული კგ პარკიდან	კოლოფი	2.6-2.8	21.5	56-60
3.	წარმოებული გრენა და რეალიზაციიდან ამონაგები	ა)კგ ბ)კოლოფი	10 370	800 21.50	8000 8000
4.	პერსე პარკის რეალიზაციიდან ამონაგები(წარმოებაში გაშვებული პარკის საერთო ღირებულების 11%)	ლარი	-	-	248
5.	სულ მიღებული შემოსავალი (3+4)	ლარი	-	-	8248
6.	საექსპლოატაციოხარჯები: მათშორის: - გრენის დასამზადებლად განკუთვნილი პარკი	კგ	150	15	6972 2250
	-წარმოებაშიგაშვებულისაჯიშეპარკისღირებულება (5-ის 15%)			-	1237
	- გრენისწარმოებასთანდაკავშირებულიპიდაპირიდანახარჯები(მასალების, მიკროსკოპირების,				
	აგროკონტროლიორებისხელფასი,				
	გრენისდაზამთრებისხარჯები,		-		
	ამორტიზაცია, მიმდინარერემონტიდაა.შ. (ნორმატივებისმიხედვით) 1.	ლარი			3485
7.	მუდმივი ფიქსირებული ხარჯები მათ შორის: - ქონების გადასახადი	ლარი			377
	- საშემოსავლო				
	- ამორტიზაცია				377
	- გაუთვალისწინებელი ხარჯები				
	- ზედნადები ხარჯები				
8.	სულ დანახარჯები (6+7)				7349
9.	1კგ გრენის წარმოების სრული თვითღირებულება კაპიტალდაბანდების გარეშე (9:3)	ლარი			735,0
10	მარჟინალური მოგება (5-6)				1270
11	მოგება (5) 10კგ გრენაზე				899
12	რენტაბელობა (5:9X100)				110

1. მთავრობის შესაბამისი დადგენილებით მითითებული პროდუქციის ღირებულების მუდმივი ფიქსირებული დანახარჯებით არ იბეგრება.

თავი III. კონკურენცია და მარკეტინგული სამსახური

ჩვენს მიერ წარმოებული პროდუქცის (პარკი, გრენა, ხამი ძაფი, ქსოვილი---) ხარისხი სრულად აკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნებს, არის კონკურენტუნარიანი და წარმატებით "დაიპყრობს" შიდა ბაზარს, ხოლო წარმოების გაფართოების შემთხვევაში- მსოფლიო ბაზრის შესაბამის სეგმენტს.

საქართველოში მეაბრეშუმეობის ხარისხოვან პროდუქციაზე მოთხოვნილება ყოველთვის იყო, არის და იქნება.

სადღეისოდ ეს დარგი განადგურებულია და არცერთი სახის პროდუქცია არ იწარმოება. უფრო მეტიც, ადგილობრივ ბაზარზე არა თუ გრენა და კუსტარული ნაწარმი, არამედ ნატურალური აბრეშუმის ქსოვილიც (თუნდაც იმპორტული) ვერ მოვიძიეთ, რაც დარგისადმი სრული უპასუხისმგებლობით არის გამოწვეული.

მეაბრეშუმეობის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გარანტიას წარმოადგენს მაღალი ხარისხი, გამორჩეული თვისებები და მისი სარეალიზაციო ფასების ხელმისაწვდომობა.

ჩვენს მიერ წარმოებული პარკის, გრენის, ხამი ძაფის, ქსოვილის--- ხარისხი და მათთვის დამახასიათებელი თვისებები (განსაკუთრებით ფასეულია "აბრეშუმის სხივი", რითაც მდიდარის ქართული აბრეშუმი) გამოარჩევს მას უცხოელ მწარმოებელთა ანალოგიური სახის პროდუქციისაგან და ფასებიც ხელმისაწვდომი იქნება.

ჩვენი წარმოების მიზნებიდან გამომდინარე ფასების პოლიტიკა განისაზღვრება როგორც საშუალო შემოსავლიანი ფენებისათვის, ისე ტურისტებისა და ელიტარული მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი პროდუქციის წარმოებით.

თავი IV. საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის მდგომარეობა გრენის,ხამი ძაფის, აბრეშუმის ქსოვილების და კუსტარული ნაწარმის რეალიზაციის ანალიზი

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით მოხდა ბაზრის სტრუქტურის რადიკალური ცვლილება, რამაც დიდი სირთულეები შეუქმნა არამარტო აბრეშუმის, არამედ სამამულო ყველა სახის პროდუქციის რეალიზაციის საქმეს.

მიმდინარე ეტაპზე სამამულო საფეიქრო და კუსტარული ნაწარმის რეალიზაციის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს თურქეთიდან, ჩინეთიდან, აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნებიდან დაბალი ხარისხისა და ზოგჯერ მავნე ნივთიერებების შემცველი იაფფასიანი საქონლის მოზღვავება. ამას ემატება მეორადი საქონლის ფართო ასორტიმენტის განუსაზღვრელი ოდენობით იმპორტი.

ექსპერტთა დასკვნით მოსახლეობის 90%-ზე მეტი იძენს ასეთ პროდუქციას, რაც ძირშივე სპობს მეაბრეშუმეობის განვითარებისადმი ინტერესს. ნორმალურ პირობებში ქვეყნის უსაფრთხოების მიზნით შიდა ბაზარზე ადგილობრივი ნაწარმის ხვედრითი წილი უნდა იყოს არანაკლებ 50-60%, რაც სადღეისოდ ოცნების სფეროს წარმოადგენს და დამღუპველია სამამულო საფეიქრო მრეწველობისათვის.

ასეთ პირობებში ფერხდება არამარტო ადგილობრივი, არამედ იმპორტირებული ნატურალური თუ ხელოვნური აბრეშუმის ქსოვილების რეალიზაციაც, ამიტომ ვფიქრობთ, პირველ ეტაპზე შესაძლებელი რომ იყოს ნატურალური აბრეშუმის ქსოვილების წარმოება, ადგილობრივი ბაზარი მისთვის მაინც ძნელად ასათვისებელი იქნება. ამიტომ, საჭიროა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან (განსაკუთრებით რუსეთთან, უკრაინასთან, ბალტიისპირეთის და შუა აზიის ქვეყნებთან) კავშირების განმტკიცება, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად დამზადებული კუსტარული ნაწარმის ხამი ძაფის და ქსოვილების ექსპორტი, რამეთუ 1980-1990-იან წლებში ქვეყანაში წარმოებული ნატურალური აბრეშუმის ქსოვილების 85-90% მითითებულ ქვეყნებში იგზავნებოდა.

საქართველოს შიდა ბაზრის დაბრუნებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია:

-სამკერვალო დარგის საწარმოებში ნატურალური აბრეშუმის ქსოვილების ახალი ასორტიმენტის ათვისება და გამოშვება.

-რეალური სარეალიზაციო ფასების ფორმირება: გრენაზე, აბრეშუმის ხამ ძაფზე, ქსოვილებზე, მზა და კუსტარულ ნაწარმზე და ა.შ.

-რეკლამის, გამოფენების, პოდიუმების მოწყობა, მარკეტინგული კვლევების გაძლიერება წარმოებული საქონლის გავრცელებასა და მოხმარებაზე.

-ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა სისტემის გაძლიერება.

-საფირმო ვაჭრობის ორგანიზება

-შიდა და საერთაშორისო ბაზრების მუდმივი კვლევა და მეცნიერული ანალიზი.

საჭიროა ადგილობრივი მეწარმეების პირობები გაუთანაბრდეს უცხოური ფირმების პირობებს, რისთვისაც:

-უნდა შემცირდეს საკრედიტო განაკვეთების % და მიუახლოვდეს იგი უცხოური ფირმების საკრედიტო განაკვეთებს, გამარტივდეს საბაჟო სისტემა განსაკუთრებით გრენის ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებით.

-დავიცვათ შიდა ბაზარი უცხოეთის იაფფასიანი საქონლის დიდი რაოდენობით შემოტანისაგან, როგორც ეს ხდება ინდოეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.

-როგორც აღინიშნა, საჭიროა მარკეტინგული, სარეკლამო და სხვა ღონისძიებების გაუმჯობესება.

მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ ქვეყანაშისამამულო ნატურალური ქსოვილების რეალიზაცია უნდა მოხდეს არა მისი მაღალი ფასების და დაბალი ხარისხის გამო, არამედ უცხოური მასა ნაწარმის დომპინგურ ფასებში შემოტანის მიზეზით, რაც მოსახლეობის დაბალი გადახდის უნარიანობის გამო უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე ქსოვილის ყიდვა და შეკერვა.

1980-90 წლებში საქართველოში ყოველწლიურად იწარმოებოდა საშუალოდ 405 მილიონი მეტრი ქსოვილი, რომლის 10-15% რეალიზდებოდა შიდა ბაზარზე, ხოლო 85-90% ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში იგზავნებოდა. მითითებულ პერიოდში საქართველოში იმპორტული ნატურალური აბრეშუმის ქსოვილი არ შემოდიოდა. ამასთან, როგორც საინვესტიციო პროგრამა "აბრეშუმი"-ში იყო მითითებული, ქ.თბილისში ჩატარებულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ გამოკითხულთა 75% უპირატესობას ანიჭებს ქართულ ნატურალურ აბრეშუმის ქსოვილს, იმ პირობით, თუ იგი იქნება არაგამჭვირვალე, მაღალი ხარისხის, ხოლო ქსოვილის კოლორისტიკა და ასორტიმენტი იქნება სწრაფცვალებადი ერთი სახის ქსოვილის მცირე პარტიებად გამოშვების პრინციპით.

გამოკითხულ ქალთა 50% სიამოვნებით შეიძენდა ნატურალური აბრეშუმიდან დამზადებულ საცვლებს და ა.შ.

საქართველოში ნატურალური აბრეშუმის ქსოვილებით (მზა ნაწარმი) ბაზრის უზრუნველყოფის და მოთხოვნილების შესწავლის მიზნით სოლიდური მუშაობა ჩატარდა 2011-2012 წლებში. გამოირკვა, რომ ქვეყნის (ამიერკავკასიის) ყველაზე დიდ ბაზარზე –ლილოში ნატურალური აბრეშუმის ქსოვილები და მზა ნაწარმი თითქმის არ არის, ან იმდენად შეზღუდულია, რომ სარეალიზაციო ფასების დადგენაც ვერ შევძელით. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ბაზრობებსა და ქსოვილების სპეციალურ მაღაზიებში, ვაჭრობის დარგის გამოცდილი სპეციალისტების აზრითსაქართველოში წარმოებული ხარისხოვანი ქსოვილების რეალიზაციის პრობლემა არ შეიქმნება.

ანგარიშგასაწევია ისიც, რომ გლობალიზაციის პირობებში ადამიანური რესურსების მართვის (HRM) თვალსაზრისით მასპინძელი ქვეყნის ფილიალში (საწარმოში), ბაზრებში დასაქმების უზრუნველყოფის პროცესში ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს ოთხი ტიპის ჯგუფზე- ქალებზე, უმცირესობათა ჯგუფებზე, შეზღუდული უნარის მქონე ადამიანებზე და ადგილობრივ მოსახლეობაზე. ამ თვალთახედვით მეაბრეშუმეობა სრულად მიესადაგება მოთხოვნებს და კარგ შესაძლებლობებს ქმნის ერთობლივი საწარმოების ჩამოსაყალიბებლად.

მიმდინარე ეტაპზე, ჩვენს ხელთ არსებული მწირი მასალების ანალიზი იმ დასკვნების გაკეთების საფუძველს გვაძლევს, რომ მსოფლიო ბაზარზე ცოცხალი პარკის ფასი მეტად არასტაბილურია, რაც ძირითადად განპირობებულია იმით, რომ ზოგიერთ ქვეყანაში (ჩინეთი) მოქმედებს სუბსიდიების სისტემა, ზოგიერთში-ხამი ძაფის შიდა ბაზარი და ზოგიერთში წახალისების სხვა ფორმები.

საერთაშორისო ბაზარზე 1კგ ჰაერმშრალი პარკის ფასი 2008 წელს შეადგენდა 2,10 ევროს, ხოლო 2012 წელს 4,52 ევროსმდე გაიზარდა, მაგრამ ასეთი ბაზრის სეგმენტის დაპყრობა ძალიან ძნელია.

1 მეტრი ქსოვილის ფასი ძირითადად მის სახეობაზეა დამოკიდებული. ჩვეულებრივად 1 მეტრი სიგრძისა და 1,4 მეტრი სიგანის ნატურალური აბრეშუმის ქსოვილი 15

დოლარის ფარგლებში მერყეობს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ 1998 წელს ქართული ჯიშების (მზიური-1 და მზიური-2) პარკიდან მოძველებული ტექნიკით (თავისებური ტექნოლოგიით) ამოხვეული ძაფით დამზადებულმა ქსოვილმა ესპანეთის ხარისხის კომიტეტის უმაღლესი ჯილდო- პლატინის ვარსკვლავი დაიმსახურა. თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიის ბაზაზე დამზადებული ქსოვილის დამკვიდრება საერთაშორისო ბაზარზე სავსებით რეალურია.

მსოფლიო ბაზარზე უმაღლესი ხარისხის (3A) ხამი ძაფის ფასი 45-55 დოლარის ფარგლებში მერყეობს, თუმცა ასეთი ბაზრის მოპოვება აქაც გაძნელებულია და მხოლოდ მეაბრეშუმეობის სტაბილური ქვეყნებისათვის არის ხელმისაწვდომი. საერთოდ კი 1 კგ ხამი აბრეშუმის ძაფის ფასი 30-35 დოლარის ფარგლებში მერყეობს, რაც ძალიან დაბალია. ამ ფონზე მეტად საინტერესოა ის, რომ საქართველოში გავრცელებული თუთის აბრეშუმხვევიას (მზიურების და დიღმურების ჯგუფები) პარკიდან მიღებული ხამი აბრეშუმის ძაფი ხასიათდება გამორჩეული თვისებებით და გამოიყენება ელიტური ქსოვილების დასამზადებლად, რომლის რეალიზაცია პრობლემებთან არ იქნება დაკავშირებული. საქმე იმაშია, რომ ქართული აბრეშუმი ხასიათდება განსაკუთრებული თვისებებით, მბზინვარებით და "აბრეშუმის სხივით", რომელიც თავიდანვე გამოარჩებს მას სხვა ქვეყნებში წარმოებული აბრეშუმის ძაფისა და ქსოვილისაგან.გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში დამზადებული ხამი ძაფი მთლიანად ექვემდებარება საფაბრიკო გადამუშავებას და მასზე მოთხოვნილება სისტემატურად იზრდება.

ჩვენი შეხედულებით, საინვესტიციო პროგრამის პირველ ეტაპზე წარმოებულ ხამ ძაფს (მისი რაოდენობრივად სიმცირის გამო) ძირითადად ექნება შიდამოხმარების ხასიათი კუსტარული წარმოების ჩათვლით, ხოლო მეორე ეტაპზე მისგან დამზადებული აბრეშუმის ქსოვილები (მზა ნაწარმი) სავსებით დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს და რეალიზაციის პრობლემა არ იქნება.

თავი V. რისკის ფაქტორები

მეაბრეშუმეობის დამახასიათებელითავისებურებებიდან გამომდინარე მისი სამეურნეო შედეგებზე რისკების გავლენა განსაკუთრებით მაღალია.

რისკები თავისი ბუნებიდან გამომდინარე შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად:

–ტექნოლოგიური, ბუნებრივი და შერეული;

– საწარმოო;

–სტიქიურ-ფოლსმაჟორული;

–პროფესიონალური;

–ინვესტიციური და ა.შ.

პრაქტიკულად რისკი წარმოადგენს პროგნოზს, რომელიც განისაზღვრება, როგორც აბსოლუტურ ისე შეფარდებით, ფიზიკურ (მატერიალურ-ნივთობრივ) ან ღირებულებით გამოხატულებაში.

რისკის ფაქტორებთან დაკავშირებული დანაკარგები შეიძლება დაიყოს მატერიალურ, შრომით, ფინანსურ, დროით, ადამიანის ჯანმრთელობისათვის საზიანო (თუთის პლანტაციის ბი-58-ის ხსნარით შეწამვლა) პაპილიონაჟის გამოხატულებაში.

მეაბრეშუმეობაში დასაქმებული ფერმერისათვის, რისკის მართვა გულისხმობს არა მათ თავიდან აცილებას, არამედ პრობლემისადმი სწორად მიდგომას და მისივე მავნე მოქმედების მინიმუმამდე შემცირებას, ეკონომიკურად მისაღებ დონემდე დაყვანას.ამასთან, ამ მიზნით გაწეული ხარჯები ნაკლები უნდა იყოს მისი შემცირებისათვის დაგეგმილ ხარჯებთან შედარებით, (საჭიე ბინის დეზინფექცია, გრენის ცელულარული თუ თერმიული მეთოდით დამუშავება და დამზადება, სტიმულატორების გამოყენება საკუთარფესვიანი ნერგის წარმოება და ა.შ.).

მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებული მასალების ანალიზისა და ჩვენი დაკვირვების საფუძველზე გამოიკვეთა რისკის ისეთი ფაქტორები, რომელთა გაუთვალისწინებლობა წინამდებარე პროექტის განხორციელებას შეუქმნის სერიოზულ საფრთხეს. ესენია:

. დაბრკოლებები ფინანსურ უზრუნველყოფაში.

. მარკეტინგული სამსახურის არ არსებობა ან მოუწესრიგებლობა.

. დარაიონებული თუთის ჯიშებით გაშენებული სადედე, სათესლე და სადედე-საკალმე პლანტაციებიდან დამზადებული თუთის თესლის და სამყნობი მასალის (კვირტის) არ არსებობა ან უკმარისობა.

. თუთის რეკომენდებული ჯიშების, ჰიბრიდული თესლნერგის, ნამყენი და ჰიბრიდული ნერგის არ არსებობის ან უკმარისობის შემთხვევაში დაურაიონებელი ჯიშების (ჰიბრიდების) გავრცელება.

. არსებული ჯიშიანი თითის ნარგაობის გაახალგაზრდავებისა და უჯიშო თუთის მცენარეთა ვარჯში ჯიშიანი კვირტით გადამყნობის შეუძლებლობა ან ხანგრძლივი დროით შეფერხება.

. თუთის სანერგეების და პლანტაციების დამუშავებისათვის საჭირო ტექნიკის არქონა და მინერალური სასუქების გამოყენების რეკომენდებული დოზების დაუცველობა.

. რეგიონში, რაიონში, მსხვილ ფერმერულ მეურნეობებში თუთის 3-5 რეკომენდებული ჯიშის გაუვრცელებლობა.

. თუთის აბრეშუმხვევიას დაურაიონებელი ჯიშების გავრცელება.

. ცელულარული მეთოდით დამზადებული შემოწმებული გრენის შეცვლა სხვა მეთოდით დამზადებული შეუმოწმებელი გრენით.

. საინკუბაციო კამერების აგროწესების მოთხოვნათა შესაბამისად მოუწყობლობა.

. საჭირო რაოდენობით ფორმალინის, გოგირდის, კირის, საფენი და გადასაყვანი ქაღალდის და სხვა მასალების არქონა ან უკმარისობა. დეზინფექციიც ჩაუტარებლობა ან უხარისხოდ ჩატარება.

. შეფერხებები თუთის აბრეშუმხვევიას საკვებით მომარაგების საქმეში.

. მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების (ფოთოლსაჭრელი, ყლორტგამცლელი, პარკსახვეწი), ხელოვნური ცახების უქონლობა და რეკომენდებული მცენარეებიდან ბუნებრივი ცახების დამზადების ვადების დარღვევა.

. თუთის თესლის, სამყნობი მასალის და გრენის სადაზღვევო მარაგის (10%) შექმნის უგულებელყოფა.

. პარკის პირველადი დამუშავების მანქანების არქონის შემთხვევაში სიმპლექსის ტიპის სახმობი დანადგარების მოუწესრიგებლობა ან უკმარისობა.

. ძაფის ამოსახვევი თანამედროვე მანქანა-დანადგარების უქონლობა ან უკმარისობა.

. თუთის დაავადება ფოთლის სიხუჭუჭის გავრცელების ზონაში ერთი და იგივე ნარგაობიდან დამზადებული ფოთლით განმეორებითი გამოკვების ჩატარება, აზოტოვანი სასუქების გაზრდილი დოზებით გამოყენება, ხშირი მორწყვა და ა.შ.

. სოფლისპირა ტყეების, ქარსაფარების, ბაღ-ვენახების შეწამვლის ზონაში არსებული თუთის ნარგაობიდან რეკომენდებული ვადების დარღვევით ფოთლის დამზადება-საკვებად გამოყენება და ა.შ.

. ფერმერი, ინვესტორი გულდასმით უნდა გაეცნოს რისკის ფაქტორების მოქმედების მოსალოდნელ შედეგებს და გადადგას ეკონომიკურად გამართლებული ნაბიჯი.

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით რისკის შედეგების და ალბათობის რაოდენობრივი შეფასება შეიძლება მოვახდინოთ შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით[1].

№	რისკის სახეობა	შედეგები და ალბათობა
1.	მინიმალური "მწვანე" რისკის არე	შესაძლო დანაკარგები მერყეობს დაგეგმილი მოგების 10–25%-ის ფარგლებში.
2.	მისაღები+დასაშვები ("ყვითელი") რისკის არე	შესაძლო დანაკარგები მერყეობს დაგეგმილი მოგების 26–50%-ის ფარგლებში.
3.	კრიტიკული რისკის არე	შესაძლო დანაკარგები მერყეობს დაგეგმილი მოგების 51–75%-ის ფარგლებში.
4.	დაუშვებელი "წითელი" რისკის არე	შესაძლო დანაკარგები მერყეობს დაგეგმილი მოგების 76–100%-ის ფარგლებში.

1. ო.ქეშელაშვილი - რისკის მართვა ფერმერულ მეურნეობებში. თბილისი. 2009წ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ ფოთლის სიხუჭუჭის გავრცელების ზონაში რისკის ფაქტორებისადმი განსაკუთრებით ფაქიზი მიდგომაა საჭირო.

სადღეისოდ, დასავლეთ საქართველოში გასავრცელებლად დარაიონებულია თუთის ჯიშები (ივერია, თბილისური, კოლხეთი, ოშიმა, ნეზუმიგაესი და სხვა), მაგრამ სადედე–სათესლე და სადედე-საკალმე ნარგაობის სიმცირის გამო, ძალზე შეზღუდულია საჭირო რაოდენობის თესლისა და სამყნობი მასალის დამზადება. ამასთან, მითითებულ რაიონში გვხვდება დაურაიონებელი, გარეგნულად ჯანსაღი (არაექსპლოატირებული) თუთის მცენარეები, საიდანაც შესაძლებელია კალმების (კვირტების) დამზადება, მაგრამ შეუმოწმებლად ამის გაკეთება დაუშვებელია, ეს

“წითელი” რისკის არეში მოხვედრას ნიშნავს, საქმე იმაშია, რომ ასეთ გაუმართლებელ რისკზე წასვლა დიდი ხნის (6-8 წლის) შემდეგ იჩენს თავს და უკიდურესად შეაფერხებს დარგის რეაბილიტაციას. ამასთან, ყოველი ჰა თუთის პლანტაციის გაშენებასთან დაკავშირებით უმიზნოდ დაიკარგება 1111 ძირი თუთის ნამყენი ნერგი, პლანტაციის გაშენებასა (---- კაცდღე) და ექსპლოატაციაში შესვლამდე მოვლაზე (12კაც/დღე X 5 წელზე) გაწეული შრომითი (პირდაპირი) დანახარჯები–60 კაც/დღე, 180 ლიტრი დიზელის საწვავი (36ლ X 5), 1 ტონა (34%-იანი) აზოტოვანი, 1 ტონა (18%-იანი) ფოსფოროვანი და 0,3 ტონა კალიუმიანი სასუქი.ამას დაემატება ტრანსპორტირებისა და დაავადებული მცენარეების ამოძირკვის ხარჯები და რაც მთავარია გახანგრძლივდება დარგის რეაბილიტაციისათვის განკუთვნილი დრო.

ანალოგიური ვითარება შეიძლება შეიქმნას ჰიბრიდული ნერგებისა და გაახალგაზრდავებული მცენარეების ვარჯში გადამყნობის შემთხვევაშიც.

განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვებასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორების მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების შემცირებასთან დაკავშირებით.

თუთის აბრეშუმხვევიას წარმატებით გამოკვება დიდად არის დამოკიდებული სადეზინფექციო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად ჩატარებაზე.

ერთი კოლოფი აბრეშუმის ჭიის გამოსაკვები ფართობის დასამუშავებლად საჭირო 2 ლიტრი ფორმალინის ხსნარის საბაზრო ღირებულება შეადგენს 7,0 ლარს, ხოლო დეზინფექციის ჩატარების დანახარჯები 10 ლარის ფარგლებში მერყეობს.

მეაბრეშუმეები, არც თუ იშვიათად, იმ ალბათობის გათვალისწინებით, რომ მათთან არ გაჩნდება დაავადება, გამოკვებას იწყებენ დეზინფექცია ჩაუტარებელ შენობაში, რაც ხშირად კატასტროფული შედეგით მთავრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მეაბრეშუმემ დეზინფექციის ჩაუტარებლობით გააკეთა 15–17 ლარის ეკონომია, ხოლო იზარალა 450–500 ლარი. ამასთან, მნიშვნელოვნად გაართულა მომავალი წლის გამოკვების ჩატარების საიმედოობა და ხელი შეუწყო გარემოს გაჭუჭყიანებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მეაბრეშუმეობაში მუშაობა უნდა წარიმართოს მხოლოდ “მწვანე” რისკის არესა და აუცილებლობის შემთხვევაში მისაღები “ყვითელი” რისკის არეს ფარგლებში.

თავი VI. ფინანსური გეგმა

ფინანსური გეგმის ამოცანაა, ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე განსაზღვროს პროექტის მიზნების შესრულების შესაძლებლობები და ეკონომიკური ეფექტიანობა. გვაჩვენებს კაპიტალური დაბანდებისა და სხვა დანახარჯების ამოგების დროს და რაოდენობას, რაც ინვესტორს სამომავლო საქმიანობის უკეთესი ვარიანტის არჩევის შესაძლებლობას აძლევს. ამასთან ანგარიში უნდა გაუწიოს საქმიანობის სამომავლო პერსპექტივას და მარტო ერთი-ორი წლის შედეგებით არ უნდა განსაზღვროს პროექტის სიცოცხლისუნარიანობა.

მეაბრეშუმეობაში, ფულადი შემოსავლის ძირითადი წყაროა გრენის, ცოცხალი და ჰაერმშრალი პარკის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი. თუმცა ყურადღების გარეშე არ უნდა დავტოვოთ უნარჩენო ტექნოლოგიების სიკეთე.ასე მაგ.100კგ ცოცხალი პარკის ამოხვევის შედეგად დარჩება 30 კგ ჭუპრი, რომელიც საუკეთესო საკვებია მელიებისათვის და საუკეთესო ნედლეული- პარფიუმერიაში გამოსაყენებლად.

არასტანდარტული პარკის, ნაპერტყულის და სხვა თანამდევი პროდუქციის მიზნობრივი გამოყენება ადვილად განსახორციელებელი და რენტაბელობის ამაღლებისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებაა.

მეთუთეობაში შემოდგომაზე გაუხეშებული ფოთლის მეცხოველეობის არატრადიციული საკვების (ნეკერი) გამოყენება, რომელიც მეტად მაღალი რენტაბელობით გამოირჩევა, ასევე ძვირფასია ნაყოფი, რომელიც უმიზნოდ იკარგება.

აღნიშნულიდან გამომდინარე საფინანსო გეგმის შედგენა აუცილებლად იწყება ძირითადი და თანამდევი პროდუქციის რეალიზაციის საპროგნოზო მაჩვენებლებით და მთავრდება საბოლოო შედეგების ჩვენებით- პროექტის სიცოცხლისუნარიანობის დამტკიცებით.

მეაბრეშუმეობის ცალკეული სფეროების ფინანსური მდგომარეობა გამოიხატება ეკონომიკურ მაჩვენებელთა ერთიანი სისტემით, რომელიც სრულყოფილად ასახავს საფინანსო დოკუმენტის-ბალანსის სტრუქტურას. აქ მრავალი მაჩვენებელია გათვალისწინებული, თუმცა ეკონომისტები პრაქტიკულად იყენებენ იმ განმსაზღვრელ მაჩვენებელს, რომელიც სრულ სურათს წარმოგვიდგენს. ნაშრომში არ წარმოვადგინეთ დაფინანსების სახეები (საკუთარი, ნასესხები), რასაც ინვესტორ განსაზღვრავს საკუთარი შეხედულებით. ამასთან წარმოდგენილია პირველი წლის საფინანსო შედეგები, ხოლო საწარმოო მაჩვენებლები მთელი პერიოდისათვის (2015-2025 წ.წ.) შედარებით სიზუსტით არის გათვალისწინებული.

ჩვენი შეხედულებით, მეაბრეშუმეობის რეაბილიტაცია-აღორძინებით დაინტერესებულ ინვესტორს სწორედ ეს ნაწილი აინტერესებს, რადგან ნათლად იკვეთება შენარჩუნებისათვის საჭირო ნაღდი ფულის ოდენობა, რაც უნდა ჩაიდოს წარმოებაში, რის მოგება იქნება მოსალოდნელი და როდის- პირველ წლებში და მომდევნო წლებში.

ჩატარებული მუშაობის შედეგობრივი მაჩვენებელი წარმოდგენილია დასკვნით ნაწილში, რაც სრულყოფილ სურათს ქმნის სამომავლოდ დარგის აღორძინებისათვის.

ცხრილში მოტანილი მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ პროექტის განხორციელების პირველ ეტაპზე მდგომარეობა არც თუ სახარბიელოა, მაგრამ განადგურებული საკვები ბაზის აღდგენის, ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშების (ჰიბრიდების) მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის და მარკეტინგული საქმიანობის თანმიმდევრული გაუმჯობესების კვალობაზე ვითარება იცვლება და რენტაბელობის მაჩვენებლებიც იზრდება.

თავი VII. საინვესტიციო პროექტის დასკვნითი ნაწილი

მიმდინარე ეტაპზე, მეაბრეშუმეობაში შექმნილი უკიდურესად რთული ვითარების გათვალისწინებით, საინვესტიციო პროგრამაში ნათლად არის გადმოცემული განსახორციელებელ ღონისძიებათა სისტემა, შესრულების მოსალოდნელი ეკონომიკური შედეგები და ძირითადი მაჩვენებლები.

ნაშრომში გაანალიზებულია 1990-იანი წლების შემდგომ პერიოდში აბრეშუმის, გრენის, პარკის და საბოლოო პროდუქტის წარმოება პრაქტიკულად შეწყვეტილია,უკიდურესი ნაკლებობაა გამოცდილი პრაქტიკოს სპეციალისტების და მეცნიერული კადრების. როგორც აღინიშნა, დარგი ხელახლა უნდა ჩამოყალიბდეს, ასეთ ვითარებაში, საინვესტიციო პროგრამის შესრულების ინტერესებიდან გამომდინარე, პირველ ეტაპზე გავითვალისწინეთ არსებული შესაძლებლობები, შემდგომში კი უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიის პირობებში, ადვილად მისაღწევი და შესრულება გარანტირებული იქნება, მისი შესრულების დასტურია წარმოების პროგრამის მინიმიზაცია, დანახარჯების მაქსიმიზაცია და მეწარმის განკარგულებაში არსებული საწარმოო პოტენციალი. გათვალისწინებულია აგრეთვე დარგის მეცნიერების დღევანდელი შესაძლებლობები და ა.შ.

პროდუქტის გასაღების პრობლემა გათვალისწინებულია პირველი ეტაპისათვის ადგილობრივი ბაზარი, ხოლო წარმოების გაზრდის და მომძლავრების შემდეგ-საერთაშორისო ბაზრის სეგმენტის დაუფლებისთვის ბრძოლა იქნება საჭირო. ამასთან, დანახარჯებისა და პროდუქციის რეალიზაციის ფასები, ინფლაციის შესაძლო დონიდან მისადაგებულად არის გათვალისწინებული.

მეაბრეშუმეობის მოწინავე ქვეყნებსა და მაღალგანვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში რენტაბელობა მუდმივი დანახარჯების მიმართ მისაღებია 12-15%-მდე, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში მინიმალური მაჩვენებლებია გათვალისწინებული, თუმცა პროდუქციის წარმოების გადიდების და ტექნიკური და ტექნოლოგიური აღჭურვილობის კვალობასთან დაკავშირებით ეფექტიანობის მაჩვენებლები შესაბამისად გაიზრდება.

ნაშრომში თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი პროდუქციის სახეების მიხედვითთესლნერგი, ჰიბრიდული და ნამყენი ნერგი, თუთის ნარგაობის გაშენების, ცოცხალი და ჰაერმშრალი პარკის, ძაფის ამოხვევისა და გრენის წარმოების მაჩვენებლები. ამასთან, შეკუმშულად, ლიტერატურული მასალების მომარჯვებით არის წარმოდგენილი საბოლოო პროდუქტის (ქსოვილი, კუსტარული ნაწარმი) ზოგადი მაჩვენებლები.

მე-15 ცხრილში წარმოდგენილია საკვები ბაზის განმტკიცების საფუძველი-სანერგე მეურნეობის გაშენების, მოვლის, პროდუქციის წარმოებისა და ეკონომიკური მაჩვენებლები.

ცხრილი 15. **თუთის სანერგის მოწყობა, პროდუქციის წარმოება, შემოსავალი და ეკონომიკური ეფექტიანობა**

#		ზომის ერეული	სათესი	ჰიბრიდული ნერგი (ერთწლიანი)	ნამყნი ნერგი (ერთწლიანი)	სულ სანერგეში
1.	წარმოებული პროდუქცია	ათასი ძირი	200,0	32000	22(18+4)[1]	-
2.	შემოსავალი	ლარი	20000	38400	40800	99200
3.	დანახარჯები	“	11228	18029	40483	69740
4.	ბალანსი	“	8772	20371	317	29460
5.	მოგება, წაგება-	“	8772	20371	317	29460

ცხრილში მოტანილი მასალებიდან ჩანს, რომ სანერგის წარმოება რენტაბელურია, მაგრამ განსაკუთრებით მომგებიანია ჰიბრიდული ნერგის წარმოება, რაც ბუნებრივია დადგენილი პარამეტრების ფარგლებში უნდა ჩაეტიოს და მიზნობრივად უნდა გამოვიყენოთ- შემდეგში გადამყნობის გათვალისწინებით.

ამასთან, ინვესტორი თუ შესძლებს (ხონში ან მეზობელ რაიონში) ბუნებრივი თბილი წყლების ბაზაზე სანერგის მოწყობას, სამი წლით დააჩქარებს საკუთარფესვიანი ნერგის წარმოებას და 2,5-3,0-ჯერ შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას[2].

ცხრილი 16. **თუთის აბრეშუმხვევიას პარკის, გრენის, ხამი ძაფის, ქსოვილის წარმოება და ეკონომიკური ეფექტიანობა**

№	მაჩვენებელი	ზომის ერთეული	ცოცხალი პარკი	ჰაერმშრალი პარკი	გრენა	ხამი ძაფი	ქსოვილი, მ[2]	სულ
1	წარმოებული პროდუქცია	კგ	3200	1253	10,0	353[1]	3530	-
2	მიღებული შემოსავალი	ლარი	19200	11267	8248	38160	-	76875
3	დანახარჯები		19106	22738	7349[2]	25142[3]	-	74435
4	ბალანსი	“	+94	-11571	+899	13107	-	2529
5	მოგება, წაგება-	“	+94	-11571	+899	+13018	-	2529

როგორც ცხრილში მოტანილი მასალებიდან ჩანს, მეაბრეშუმეობის მდგომარეობა რთულია, თუმცა გასაკვირი არც არის, რადგან თითქმის 20-25 წელია უპატრონოდაა მიტოვებული და თავიდან ვიწყებთ აღორძინებას. მიუხედავად ამისა, პირველი ეტაპის პირველი წლის შედეგები მაინც დამაკმაყოფილებელია, ხოლო მომდევნო წლები თანდათან წარმატებული იქნება.

პირველი ეტაპის დაწყების პერიოდში წარმოებული ცოცხალი პარკის რაოდენობა შეადგენს 3200 კგ-ს, ხოლო მოგება (მინიმალურია)-94 ლარს, რაც სავსებით მისაღებია. პირველ წელს მთავარია არა მაქსიმალური მოგება, არამედ ოჯახური შრომის ჩვევების გამომუშავება, საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობის ადაპტაცია და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

1. საერთო შემოსავალში შედის დამატებით მიღებული ჰიბრიდული ნერგი (4,8 ათასი ძირი).

2. რეკომენდაცია თერმული წყლით გამთბარ სუბსტრატში თუთის გამძლე ჯიშების ნაზამთრი კალმით დაფესვიანება და ეკონომიკური ეფექტიანობა. სმმ აკადემია. 2014 წ.

ცნობილი მიზეზების გამო, ჰაერმშრალი პარკის თვითღირებულება მეტისმეტად მაღალია, მაგრამ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებით იგი შემცირდება და მოგების დონე 20%-ს გადააჭარბებს.

გრენის წარმოება სისტემის ყველაზე მომგებიანი სფეროა. ჩვენი გაანგარიშებით 10 კგ გრენის წარმოების შემთხვევაში მოგება 899 ლარს შეადგენს. იმავე ცხრილიდან ჩანს, რომ ხამი ძაფის წარმოება 13107 ლარის მოგებით არის წარმოდგენილი, ხოლო საერთო შედეგების მიხედვით (საბოლოო პროდუქტის, ქსოვილი, კუსტარული ნაწარმი) მოგება შეადგენს 2529 ლარს, რაც საწყის წლებში მისაღებია, ხოლო მომდევნო წლებში მზარდი მოგება იქნება გარანტირებული.

ცხრილი 17. **მეაბრეშუმეობის- თესლნერგის, გრენის,პარკის და ხამი ძაფის (ქსოვილის და კუსტარული ნაწარმის გარეშე) წარმოება და ეკონომიკური მაჩვენებლები[1]**

№	მაჩვენებელი	ზომის ერთეული	მეაბრეშუმეობა (საბოლოო პროდუქტის-ქსოვილის და კუსტარული ნაწარმის გარეშე)		
			სულ	მათ შორის	
				სათესიგანყოფილება	გრენა, პარკის წარმოება, ჰაერმშრალი პარკი და ხამი ძაფი
1	მიღებული შემოსავალი	“	96875	20000	76875
2	დანახარჯები	“	85310	10876	74435
3	ბალანსი	“	11565	9124	2441,0
4	მოგება, წაგება-	“	11565	9124	2441,0

წარმოდგენილი ცხრილი 17-ის შედეგები მეაბრეშუმეობის რეაბილიტაცია-აღორძინების სურვილს გაგვიმტკიცებს.ჩვენი გაანგარიშებით, დაწყების პერიოდისათვის მეაბრეშუმეობის სისტემის (ქსოვილის და კუსტარული ნაწარმის გარეშე) ყველა სფერო მეტად საინტერესოა და ორგანიზებულად მუშაობის შემთხვევაში ნორმალური მოგება გარანტირებული იქნება. ასე მაგალითად, პროგრამის პირველ წელს საერთო მოგება შეადგენს 11565 ლარს, მათ შორის სანერგისა 9124 ლარს და აბრეშუმის პარკის და ხამი ძაფის 2441,0 ლარს, რაც ვფიქრობთ პროგრამის შესრულების შემთხვევაში წარმატებული იქნება.

აღნიშნული მასალების ანალიზიდან გამომდინარე, ეჭვსგარეშეა, რომ მეაბრეშუმეობა ადგილს დაიმკვიდრებს საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის სისტემაში.

ქვემოთ მოკლედ წარმოვადგენთ ჩვენს შეხედულებას მეაბრეშუმეობის განვითარების ზოგიერთ პრობლემასთან დაკავშირებით.

1. სათესი განყოფილებიდან გათვალისწინებულია მხოლოდ მხოლოდ პირველი წლის (2015) მონაცემები.

დასკვნები

– საქართველოში სადღეისოდ მეაბრეშუმეობა, როგორც ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი განადგურებულია და თავიდანაა ჩამოსაყალიბებელი, მაგრამ ახალ ხელისუფლებას გააჩნია მისი აღორძინების პოლიტიკური ნება.

– მოსახლეობაში ჯერ კიდევ არსებობს დარგისადმი დიდი სიყვარული, საკვები ბაზის აღდგენის სურვილი, გამოცდილი მეაბრეშუმეები, დარგის აღდგენით დაინტერესებული ენთუზიასტები და ცალკეული მეცნიერები.

– დარგის აღდგენით შესაძლებელია სოფლის მოსახლეობის მასობრივი დასაქმება, ქვეყნის სავალუტო შემოსავლების შევსება, მეაბრეშუმეთა ოჯახური ბიუჯეტის გაუმჯობესება, მიგრაციული პროცესების შენელება, ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა და ა.შ.

– საქართველოს ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე მეტად მნიშვნელოვანი და ღირებულია აბრეშუმის სხივი, რითაც მდიდარია ქართული აბრეშუმი, ამასთან საქართველოში წარმოებული ძაფი მთლიანად ექვემდებარება დამუშავებას-ქსოვილის ფაბრიკული წესით დამზადებას.

თუთის აბრეშუმხვევიას ახალი ჯიშების წარმოებაში გავრცელება მეტად სათუთ მიდგომას მოითხოვს.

ხონის რაიონში (დასავლეთ საქართველოში) ქართული ჯიშებიდან უპირატესობა უნდა მივაკუთვნოთ დიღმურების ჯგუფს და სხვა დაპატენტებულ ჯიშებს. ამასთან, მაღალპროდუქტიული ჯიშის მზიური-1 და მზიური-2 წარმატებით სარგებლობს ქართლის რაიონებში (აღმოსავლეთ საქართველოში), მაგრამ ხონში გამოცდის გარეშე არ უნდა გავრცელდეს.

- მართალია, უცხოეთიდან შემოტანილი გრენა სერტიფიცირებულია, მაგრამ მისი გავრცელება გამოცდის გარეშე მაინც სარისკო საქმეა.

- ინვესტორმა, პარკის საერთაშორისო ბაზრის ფასის ინტერესებიდან გამომდინარე, იმპორტული და ადგილობრივი გრენა მკაცრად უნდა შეამოწმოს ყველა სამეურნეო ნიშან-თვისების მიხედვით, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს გამოკვების ხანგრძლივობას, რომელიც სასურველია მერყეობდეს 25-28 დღის ფარგლებში.

– აბრეშუმის პარკის წარმოების ძირითადი ორგანიზაციული ფორმა იქნება სხვადასხვა დონეზე შექმნილი კოოპერატივები, ამხანაგობები და სხვა გაერთიანებები.კოოპერატივების (ამხანაგობების) ინიციატივით უნდა შეიქმნას ტერიტორიული ინტეგრირებული საწარმოები (საკარმიდამო მეაბრეშუმეობა+ ძაფის რეგიონალური ამოხვევა--), რითაც მოხდება საბოლოო პროდუქციის წარმოებაზე მეაბრეშუმეების ეკონომიკური ინტერესების მიბმა ძაფის--- რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის ნაწილის მეაბრეშუმეებზე გაცემის გზით.

– პირველ ეტაპზე საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით აუცილებელია:

ა) უპირატესად გაშენდეს ერთეული (ხაზობრივი) ნარგაობა ნამყენი და შერჩეული ჰიბრიდული ნერგებით, შემდგომში მისი ჯიშიანი კვირტით (კალმით) გადამყნობის პირობით.

ბ) მოხდეს დღემდე შემორჩენილი ჯიშიანი თუთის ნარგაობის გაახალგაზრდავება აგროწესების მოთხოვნათა შესაბამისად.

გ)განხორციელდეს უჯიშო თუთის ნარგაობის ვარჯში, ზონისათვის რეკომენდებული არანაკლებ 3-4 ჯიშის (ივერია, თბილისური, ოშიმა და ა.შ.) კვირტით (კალმით) გადამყნობა.

დ)მეაბრეშუმეობის მეურნეობაში არსებულ პლანტაციებში განხორციელდეს მეჩხერიანობის მოვლითი სამუშაოები.

ე)მითითებული რაოდენობით (80 ჰა) უნდა გაშენდეს მცირე ზომის ინტენსიური პლანტაციები ხონის მეთუთეობის მეურნეობაში, ფერმერთა და სხვა მიწათმოსარგებლეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე, რიგთაშორისებში ზონისათვის რეკომენდებული კულტურების მოყვანისა და შემოდგომაზე გაუხეშებული ფოთლისაგან მეცხოველეობისათვის არასტანდარტული საკვების (ნეკერი) წარმოებისათვის.[1]

ვ) უჯიშო თუთის მცენარეების ვარჯში და სანერგეში მყნობისათვის საჭირო მასალა უნდა დამზადდეს მეთუთეობის მეურნეობისა და სხვა შერჩეული მცენარეებიდან აღებული კვირტის (კალმის) გამოყენებით. ამავე მეურნეობაში უნდა დაირგოს სათესლე-სადედე და საკალმე-სადედე ნარგაობის პლანტაციები, რაც შეიძლება მეტი რაოდენობით სასაქონლო პროდუქციის დასამზადებლად.

ზ)განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკუთარფესვიანი ნერგების საწარმოებლად ყველა მეთოდის გამოყენებას, განსაკუთრებით ბუნებრივად თბილი წყლის ბაზაზე, ისე როგორც ზემოაღნიშნულ რეკომენდაციაშია მითითებული.

თ)დაავადება “ფოთლის სიხუჭუჭის” გავრცელების მიზეზით ჯერჯერობით დაუშვებელია განმეორებითი გამოკვებისათვის ერთი და იმავე მცენარის ფოთლის გამოყენება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განმეორებითი გამოკვება ჯერჯერობით რეკომენდებული არ არის.

მეაბრეშუმეობის აღორძინება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მოსახლეობის ადგილზე დამაგრება და მძიმე ეკოლოგიური პირობების შემსუბუქების ინტერესები დღის წესრიგში აყენებს სასელექციო სადგურის აღდგენის და პლასტმასის პატარა საამქროს ჩამოყალიბების საკითხს მეაბრეშუმეობის დარგისათვის საჭირო ინვენტარის (ცახები,ლასტები, გოდრები და ა.შ.) დასამზადებლად.

1. იხ.საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “რეკომენდაცია” თბილისი, 2014.

დ ა ნ ა რ თ ი

საქართველოს აბრეშუმის მრეწველობის ყოფილი გაერთიანების (აბრეშუმკომბინატი-2), პარკის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკა (5) კალკულაციების საშუალო მონაცემები, 100მ^2 აბრეშუმის ქსოვილის დამზადების ხარჯები.

დანართი 1

№	დასახელება	100მ^2 აბრეშუმის ქსოვილი	10 კგ ხამი აბრეშუმის ძაფი	35 კგ ხმელი პარკი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
1	ნედლეული	325-00	159-251	122-85	35კგ ჰაერმშრალ პარკს ესაჭიროება 94.5 კგ ცოცხალი პარკი, ფასი 1კგ, 1.3 ლარი
2	დღგ	65	31-85	-	
3	დამუშავების ღირებულება	196-00	123-35	21-92	
4	მთლიანი ხარჯები	521-00	282-61	144-77	
5	მოგება	194-20	42-39	14-48	
6	საწარმოს ფასი	625-20	325-90	159-25	
7	დღგ	125-34	65-00	59-25	
8	გასაყიდი	759-24	65-00	31-85	
9	გადასახადი დღგ	60-84	33-15	31-85	

ცხრილი ამოღებულია საინვესტიციო პროგრამა "აბრეშუმის" მასალებიდან. შედგენაში მონაწილეობდა (ხელმძღვანელი ბ.მაყაშვილი) სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მრეწველობის სამინისტრო, გაერთიანება "საქმსუბუქმრეწვი", საზოგადოება "საქაბრეშუმი" და მეაბრეშუმეობის ინსტიტუტი.

მართალია, ცხრილში მოტანილი აბსოლუტური მასალები სადღეისოდ მიუღებელია, მაგრამ საბოლოო პროდუქტის ხარჯების სტრუქტურა და დასკვნები მისაღებია და შეიძლება გამოვიყენოთ ახალი პირობებისათვის.

გამომუშავების სანიმუშო ნორმები მეაბრეშუმეობის სასელექციო სადგურებში[1]

დანართი 2

№	სამუშაოს დასახელება	ზომის ერთეული	გამომუშავების დღიური ნორმა
	სუპერელიტა პარკუჭანების შეწებვა		
1.	პერგამენტის ქაღალდის დაშლა და ახვევა	კგ	20-24
2.	პერგამენტის ქაღალდის დაჭრა და ადგილზედალაგება	"-"	12-16
3.	პერგამენტის ქაღალდის დაჩხვლეტა და მოთავსება ადგილზე	"-"	10-14
4.	დაჩხვლეტილი პერგამენტის ქაღალდის დაშლა, პარკუჭანების შეწებვადა რულონებად აცმა.	"-"	2-2.5
	პარკის საიზოლაციო ყუთების დასუფთავება		
5.	მუშის მიერ ყუთის აღება, იზოლატორების ამოღება და გაწმენ-და, ყუთის გარეცხვა ცხელი წყლით, გაშრობა, იზოლატორის მოთავსება ყუთში და ადგილზედალაგება.	ცალი	
6.	V ასაკის ჭიის გამოსაკვებად თუთის ფოთლის დამზადება	ცალი	80-90
7.	V ასაკის ჭიის კვება ოჯახებში	ოჯახი	600-250
8.	V ასაკის ჭიის ნაძირის გამოცლა, ოჯახებში ცახიდან ნაძირის გამოცლა ოჯახებში ცახიდან ნაძირის გატანის გარეშე	"-"	24-26
	ჭიის ასაკობრივი ანალიზი		
9.	ჩამწყობის მიერ პარკუჭანას გახსნა, ჭიის ამოყვანა, მოთავსება სალეს ქვიჯაში, გალესვა და გალესილი შემკრების გაგზავნა მიკროსკოპთან.	პრეპ.	400-420
10.	მიკროსკოპისტის მიერ შემკრებლებიდან სასაგნე მინაზე წვეთის აღება, საფარი მინის დაფარება და პრეპარატის გასინჯვა და შედეგის შეტანა დავთარში.	"-"	450-500
11.	ოჯახებში V ასაკის ჭიის სქესად დაყოფა	ცალი	3000-3450
	მოუმწიფებელი ჭუპრის ანალიზი		
12.	პარკის ნიმუშის დაჭრა, ჭუპრის გამოღება, მოთავსება სალეს ქვიჯაში, გალესვა და მიტანა მიკროსკოპთან	პრეპ	500-520
13.	მიკროსკოპისტის მიერ პრეპარატის მომზადება ერთ სასაგნე მინაზე,გასინჯვა და შედეგის შეტანა დავთარში	"-"	600-650
14.	პარკიანი ცახების ჩამოხსნა. პარკის გამოკრეფა და ადგილზე დალაგება სქესის მიხედვით	ოჯახი	21-22
15.	გამოკრეფილი პარკის ნაპერტყუალისაგან გაცლა და ადგილზე მოთავსება სქესის მიხედვით.	"-"	32-35
16.	პარკის გასინჯვა სიყრუეზე, ყრუ და დომფალის გამორჩევა, ხარისხიანი პარკის და წუნი პარკის მოთავსება ცალ-ცალკე, პარკის გადათვლა სქესის და ხარისხების მიხედვით და შედეგების შეტანა უწყისში.	"-"	30-35

17.	პარკიანი ცახის ჩამოხსნა, პარკის გამოკრეფა, ნაპერტყუალისაგან გასუფთავება და მოთავსება ადგილზე სქესის მიხედვით.	‘-‘	8-10
18.	პარკის აწონვა სქესის მიხედვით და შედეგების შეტანა უწყისში	“-“	100-120
19.	ოჯახებიდან სქესის მიხედვით 120 ცალი პარკის გამორჩევა(60 ♀ და 60 ♂),წუნდებული პარკის გამორჩევა.	ტ	50-55
20.	პარკის ტექნოლოგიური ანალიზისათვის ოჯახებიდან 50 ცალი და 10 ცალიანი ნიმუშების აღება, მისიმოთავსება ტოპრაკში და წარწერის გაკეთება.	ოჯახი	48-50
21.	ოჯახიდან ამორჩეული 120 ცალი პარკის დაჭრა, გარსიდან ჭუპრის ამოღება, სქესის დადგენა, გარსში ჭუპრის ჩაბრუნება, მოთავსება ქაღალდის ყუთში და სქესის მიხედვით დალაგება ადგილზე.	ცალი	900-950
22.	პარკის დანომრვა, აწონვა კვანდრატის სასწორზე და შედეგების შეტანა დავთარში	“-“	750-800
23.	დაჭრილი პარკიდან ჭუპრის ამოღება, გარსის აწონვა ტორციონის სასწორზე, ჭუპრის მოთავსება პარკუჭანაში, წარწერების გაკეთება და შედეგების შეტანა დავთარში	“-“	200-250
24.	ოჯახიდან აღებული 120 ც. დაჭრილი პარკის (23-24) აწონვა ცალ-ცალკე, პარკიდან ჭუპრის ამოღება, გარსის აწონვა, გარსში ჭუპრის ჩაბრუნება, პარკის დანომვრა და შედეგების შეტანა დავთარში.	“-“	460-490
25.	პარკის საშუალო წონისა და აბრეშუმიანობის გამორკვება	ცალი	2000-2100
26.	ოჯახიდან აღებული 120 ცალი დაჭრილი და აწონილი პარკიდან 10 ც. დედალი და 10 ც. მამალი პარკის ამორჩევა, საწყისი მასალისათვის პარკიდან ჭუპრის ამოღება, მოთავსება პარკუჭანაში, წარწერების გაკეთება და მოთავსება ადგილზე.	“-“	300-320
27.	ოჯახში პარკუჭანებიდან პეპლების ამოყვანა შეჯვარება, გათიშვა, პეპლების ჩასმა პარკუჭანაში (თითო ცალი) და მოთავსება ადგილზე.	“-“	600-650
28.	ოჯახში პეპლების ამოყვანა პარკუჭანადან, წყვილების შერჩევა აბრეშუმიანობის მიხედვით, შეჯვარება, გათიშვა, მდედრი პეპლის მოთავსება პარკუჭანაში, თავისმოკვრა და წარწერების გაკეთება.	“-“	250-300
29.	მეშვიდე დღეს პეპლების გასინჯვა სიცოცხლისხანგრძლივობაზე	“-“	2200-2500
30.	ექსპერიმენტულ ძაფსაღებ დაზგაზე საწყისი მასალისათვის პარკის ინდივიდუალურად ამოხვევა	“-“	50-60
31.	პარკის ინდივიდუალურად ამოხვევა ოჯახში ძაფის მეტრული ნომრის დასადგენად (10 ც. პარკი)	ც. ნიმუში	10-13
32.	ოჯახებიდან აღებული 50 ც. (25 დ და 25 მ) პარკის ნიმუშის ამოხვევა სამრეწველო დაზგაზე.	“-“	6-8
	ელიტური *		
33	სასელექციო საამქროში დახარისხებული პარკიდან 400-450 გ ნიმუშის აღება, აწონვა, დათვლა ჩაყრა მარლის ტოპრაკებში, იარლიყის მიკვრა და გაგზავნა ტექ. ლაბორატორიაში.	ცალი	8-10
34.	პარკის საიზოლაციო ყუთების მოტანა, გაურკვეველი პარკის ჩაყრა იზოლატორებში და კოლონებად დალაგება.	კგ.	28-30
35.	იზოლატორებიდან პეპლის აყვანა, შეჯვარება ერთი ჯიშის მეორესთან, პეპლის დათიშვა, თითო ცალი პეპლის ჩასმა პარკუჭანაში, პარკუჭანების აცმა და მოთავსება ადგილზე.	ცალი	650-700
36.	პერსე პარკის გადმოყრა იზოლატორებიდან თაროებზე, აწონვა და გადატანა ცეხში	კგ.	20-22
37.	იზოლატორებიდან გადმოყრილი პერსე პარკიდან ყრუს ამორჩევა და დახარისხება	“-“	18-20

38.	თაროებიდან გადმოყრილი პერსე პარკიდან ყრუს ამორჩევა და დახარისხება	"-"	10-12
შენიშვნა: სამუშაოთა შესრულების თანმიმდევრობა და გამომუშავების ნორმები იგივეა, რაც სუპერლიტის შემთხვევაში.			
	ცალფა ანალიზი		
39.	პარკუჭანას გახსნა, პეპლის ამოღება, ფრთების მოცილება, პეპლებისათვის ტანის მოცილება და მოთავსება ქვიშაში, თავის ჩაბრუნება პარკუჭანაში და პეპლის ტანის გალესვა.	პრეპარატი	550-600
40.	მიკროსკოპისტის მიერ ქვიჯიდან წვეთის აღება, მოთავსება სასაგნე მინაზე, საფარი მინის დაფარება, გასინჯვა და შედეგების შეტანა დავთარში	პრეპ.	600-650
	ხმელი პეპლის თავების კონტროლი		
41.	ხმელი პეპლის თავების ამოღება პარკუჭიდან, გალესვა და გაგზავნა მიკროსკოპთან (2 ც. პეპლის თავი)	პრეპ.	350-380
42.	ხმელი პეპლის თავების პრეპარატის დამზადება გასინჯვა მიკროსკოპისტის მიერ და შედეგების შეტანა დავთარში	"-"	400-450
43.	გრენის პარკუჭიანების დალბობა, გაშლა, ფხეკა და გაგზავნა გასარეცხად.	ცალი	800-900
44.	გრენის რეცხვა და თაროებზე გაშლა	კგ.	10-12
45.	მრეცხავის მიერ ქვიჯების გარეცხვა და მოთავსება ადგილზე	ცალი	2300-2500
	პარკუჭანების შეწებვა (გამომუშავების სანიმუშო ნორმები საგრენაჟო ქარხნებში).		
46.	დაჩხვლეტილიპერგამენტისქაღალდისდაშლა, შემოხვევახისსპეციალურფორმაზედაპარკუჭანისშეწებვა.	კგ	2-2.4
	პარკისსაიზოლიაციოყუთებისდასუფთავება		
47.	ყუთისაღება, გაწმენდაცხელიწყლით, გაშრობა, იზოლატორის მოთავსება ყუთში, თავის დახურვა და დალაგება	ცალი	50-60
	ჭიის ასაკობრივი ანალიზი		
48.	ჩამწყობის მიერ პარკუჭანის გახსნა, ჭიის ამოყვანა, მოთავსება სალეს ქვიჯაში, გალესვა და მიტანა მიკროსკოპისტთან	პრეპარატი	450-500
49.	მიკროსკოპისტის მიერ შემკრებიდან სასაგნე მინაზე წვეთის აღება საფარი მინის დაფარება და პრეპარატის გასინჯვა	"-"	450-500
	მომწიფებული ჭუპრის ანალიზი		
50.	100 ც.პარკის ნიმუშის დაჭრა, ჭუპრის გამოღება და მოთავსება სალეს ქვიჯაში, გალესვა და მიტანა მიკროსკოპისტთან	"-"	350-400
51.	მიკროსკოპისტის მიერ პრეპარატის გასინჯვა და შედეგის შეტანა დავთარში	"-"	500-600
52.	მეაბრეშუმის მიერ მოტანილი პარკიდან 1 კგ. ნიმუშის აღება და მოთავსება ადგილზე, იარლიყის გაკეთება და სახარისხო ლა-ბორატორიაში მიტანა	ცალი	100-120
52ა	მეაბრეშუმეს მიერ მოტანილი პარკიდან აღებული 1 კგ ნიმუშის ლაბორატორიაში დახარისხება ცალ-ცალკე, ხარისხის მიხედვითაწონვა, დათვლა და მოთავსება ადგილზე	" "	25-30
53.	მეაბრეშუმის მიერ მოტანილი პარკის აწონვა და ქვითრის გამოწერა	"-"	25-30
54.	მიღებული და აწონილი პარკის თაროებზე გაშლა, იარლიყის მიკვრა და მიტანა საწყობში	"-"	500-600
	მებრეშუმის მიერ მოტანილი პარკის სელექცია		
55.	პარკის მოტანა სასელექციო საამქროში,	"-"	35-40
56.	სასელექციო საამქროში დახარისხებული და აწონილი პარკის მოთავსება დანიშნულების ადგილზე პარტიების მიხედვით და იარლიყების მიკვრა	"-"	500-600

პარკის ჩაყრა იზოლატორებში და კოლონებად დალაგება			
57.	პარკის საიზოლაციო ყუთების მოტანა, გაურკვეველი პარკის ჩაყრა იზოლატორებში და კოლონებად დალაგება.	“-“	25-30
58.	პეპლის აყვანა იზოლატორებიდან და შეჯვარება ერთი ჯიშისა მეორესთან	ცალი	2000-2200
59.	პეპლების დათიშვა, ორ-ორი ცალი პეპლის ჩასმა პარკუჭანებში, პარკუჭანების აცმა და ჩამოკიდება პარტიების მიხედვით	“-“	1200-1400
60.	პეპლის მოსათვასებელი ყუთების მიტანა, პეპლის ამოყვანა იზოლატორებიდან, შეჯვარება ერთი ჯიშისა მეორესთან უვარგისი პეპლების გამოცალკევება (დახარისხება) პეპლების დათიშვა,მდედრი პეპლის ჩასმა (2) პარკუჭანებში, პარკუჭანას აცმა და მათი დაკიდება ადგილზე პარტიების მიხედვით	ცალი	1500-1700
62.	იზოლატორებიდან პერსე პარკის თაროებზე გადმოყრა, აწონვა და გატანა შესანახ ცეხში	კგ.	20-22
63.	პერსე პარკიდან ყრუს ამორჩევა დახარისხება	“-“	18-20
64.	200 ც პარკის ნიმუშის აღება, ჩაყრა ტოპრაკებში, იარლიყის მიცემა და მოთავსება ადგილზე	“-“	80-90
65.	აღებული 200 ც. პარკის ნიმუშის დაჭრა, ჭუპრის ამოღება, სქესის განსაზღვრა, ჭუპრის ჩაბრუნება პარკში, სქესის მიხედვით დაჯგუფება და მოთავსება ადგილზე	“-“	10-12
66.	აღებული 200 ც. პარკის ნიმუშის აწონვა სქესის მიხედვით, დათვლა და საშუალო წონის გაანგარიშება	ნიმუშის ცალი	10-12
67.	უგრეხელიძის მანქანაზე სასწორების დაყენება საშუალო წონის მიხედვით	ცალი	70-80
68.	უგრეხელიძის მანქანაზე პარკის სქესად დაყოფა, პარკის ჩამოხსნა, აწონვა, იარლიყის მიკვრა და გაგზავნა საამქროში	კგ.	35-40
უგრეხელიძის მანქანაზე სქესად დაყოფილი პარკის პაპლიონაჟი			
69.	პეპლის აყვანა თაროებიდან, შეჯვარება და დალაგება პარტიების მიხედვით	ცალი	4500-5000
70.	პეპლის დათიშვა, მისი მოთავსება ავტომატურ საკეტიან ყუთებში ჩაწყობილ პარკუჭიანებში	“-“	4000-4500
მომწიფებული ჭუპრის ანალიზი			
71.	100 ცალი პარკის ნიმუშის დაჭრა, ჭუპრის ამოღება ქვიჯაში მოთავსება, გალესვა და პრეპარატის მომზადება	პრეპ.	350-400
72.	100 ცალი მომწიფებული ჭუპრის ნიმუშის პრეპარატის დამზადება, გასინჯვა მიკროსკოპისტის მიერ და შეტანა დავთარში	“-“	500-600
ნედლი პეპლის ანალიზი			
73.	საპაპლიონაჟო საამქროში პარტიაზე ახლად გამოსული პეპლების (100) ნიმუშის აღება და მოატანა საანალიზო საამქროში	ცალი	80-100
74.	100 ცალი ნედლი პეპლის ნიმუშის ფრთების მოცილება, ქვიჯაში გალესვა და მიკროსკოპირებისათვის მომზადება	პრეპ.	500-600
75.	100 ცალი ნედლი პეპლის ნიმუშის პრეპარატის დამზადება, გასიჯვა მიკროსკოპისტის მიერ და დავთარში შეტანა	“-“	600-700
ხმელი პეპლის ცალფა ანალიზი			
76.	პარკუჭანის გახსნა, პეპლების ამოღება, ფრთების მოცილება, პეპლის ტანის მოცილება და მოთავსება ქვიჯაში, თავის ჩაბრუნება პარკუჭანაში და პეპლის ტანის გალესვა (12 ცალი)	პრეპ.	500-600
77.	მიკროსკოპისტის მიერ შემკრებიდან წვეთის აღება, მოთავსება სასაგნე მინაზე, საფარი მინის დაფარება, გასინჯვა და შეტანა დავთარში	“-“	750-800

ხმელი პეპლის თავების კონტროლი			
78.	ხმელი პეპლის თავების ამოღება პარკუჭიდან, გალესვა და გაგზავნა მიკროსკოპისტთან (2ცალი)	პრეპარატი	300-500
79.	ხმელი პეპლის თავების პრეპარატის დამზადება და გასინჯვა მიკროსკოპისტის მიერ და შეტანა დავთარში	"-"	500-600
80.	ქვიჯების გარეცხვა და მოთავსება გასაშრობად	ცალი	700-800
თერმული მეთოდით გრენის დამზადება			
81.	პეპლის დათიშვა, დათვლა და გაშლა პარაფინირებულ ქაღალდიან თაროებზე	ცალი	1800-1500
82.	თერმულად დამუშავებული გრენის პარიტეტებიდან პეპლების გადაყრა და გრენის გაფხეკვა	კგ	3-3.5
83.	გრენის მოთავსება მარლის ტოპრაკებში და თავის მოკვრა(500გ.)	ნიმუში-ცალი	200-250
84.	მარილმჟავას მომზადება, ტემპერატურის დამყარება და გაცოცხლება (4 ნიმუში 500 გ-იანი)	ცალი	60-70
85.	500 გ ნიმუშის გრენის გარეცხვა, გაშლა და მშრალის აღება (500 გ.)	"-"	15-16
86.	გრენის გადაწონვა 300 გ. ნიმუშის აწონვა და მომზადება თერმული დამუშავებისათვის.	"-"	20-22
87.	ნიმუშის აღება პარტიაზე, პაკეტებში მოთავსება და წარწერის გაკეთება	"-"	180-200
თერმოაქტივაცია			
88.	გრენის მომზადება თერმოაქტივაციისათვის, მოთავსება მარლის ტოპრაკებში	ცალი	20-25
89.	გრენის 40%-იან წყალში ჩაშვება 5 წუთით, ამოღება და დაწდომა (300 გ-იანი)	"-"	45-50
90.	გრენის თერმოსტატიდან ამოღება, ოთახის ტემპერატურის წყალში ჩაშვება 5 წუთით, ამოღება და დაწდომა (300 გ-იანი)	"-"	160-180
91.	გრენის გაშლა გასაშრობად და გამშრალის აღება (300გრ.)	"-"	65-70

1 – დამუშავებულია დ. ნიკოლეიშვილის, შ. ღვინეფაძის, გ. ბარამიძის და ლ. აფხაზავას მიერ.

სარჩევი

სატიტულო ფურცელი ---------- 1

რეზიუმე ---------- 4
პროექტის შესრულების ეტაპები და ვადები---------- 6
თავი I. არსებული მდგომარეობა, პროექტის მიზნები და ამოცანები---------- 7
1.1. არსებული მდგომარეობა ---------- 7
1.2. პროექტის მიზანი და ამოცანები---------- 9
თავი II. პროდუქციის წარმოება---------- 11
2.1. მეთუთეობა, სათესი განყოფილება, სარგავი მასალა, ფოთლის წარმოება და ეკონომიკური ეფექტიანობა---------- 11
2.2. პარკის წარმოება, პირველადი დამუშავება, ხამი ძაფის ამოხვევა და რეალიზაცია---------- 24
2.3. ცოცხალი პარკის წარმოება და რენტაბელობა---------- 26
2.4. ჰაერმშრალი პარკის წარმოება, თვითღირებულება, მოგება და რენტაბელობა---------- 28
2.5. 10 კგ ჰიბრიდული გრენის დამზადება, მოგება და რენტაბელობა---------- 30
თავი III. კონკურენცია და მარკეტინგული სამსახური----------34
თავი IV. საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის მდგომარეობა, გრენის, ხამი ძაფის, აბრეშუმის ქსოვილების და კუსტარული ნაწარმის რეალიზაციის ანალიზი—---------- 35
თავი V. რისკის ფაქტორები---------- 38
თავი VI. ფინანსური გეგმა ---------- 41
თავი VII. საინვესტიციო პროექტის დასკვნითი ნაწილი---------- 42

დასკვნები ---------- 45
დანართი ---------- 47